ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

# ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 43 (2822) გამოცემის მე-60 წელი: 25 ოქტომბერი, 1991 წ. ფასი 40 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



შემოდგომა

ვარლამ გენზიურის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს მუხრან მაჭავარიანს

მოველოდი, რომ თქვენ პროტესტით გამოხვიდოდით „ლიტერატურული საქართველოს“ 1991 წლის 11 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული ამაზრზენი წერილის გამო, რომელსაც ხელს აწერს ვინმე „მიმომხილველი“, და რომელშიაც შეურაცხყოფილია ქართველ მწერალთა დიდი ჯგუფი, საერთოდ მთელი ქართული მწერლობა. როგორც მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, თქვენ გევალებოდათ ეს. მით უმეტეს, რომ იქ ერთ აბზაცში, სადაც ჩემზეა ლაპარაკი, მოხსენიებულია თქვენი გვარიც. თქვენზე კარგად ვინ უნდა იცოდეს, რომ, რაც იქ არის ნათქვამი, მტკნარი სიცრუე და სიყალბეა. სინამდვილეში ყველაფერი პირიქით იყო, და ამის დამტკიცება ძნელი არ არის... ერთი სიტყვით, მოველოდი, რომ ხმას აიმაღლებდით უსამართლოდ შეურაცხყოფილ მწერალთა ღირსების დასაცავად. უკვე ათ დღეზე მეტი გავიდა და თქვენ კი სდუმხართ. ეს აძლევს ეჭვს, რომ „მიმომხილველის“ ავტორობით გამოქვეყნებული პასკვილის შედგენაში თქვენც მიგიღიათ მონაწილეობა. დიდი სტილური ანალიზი არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ პასკვილი მართლაც რამდენიმე ადამიანის „ნალვაწია“. მე აღარ შემიძლია იმ პრეზიდიუმის წევრი ვიყო, რომლის თავმჯდომარე თქვენა ბრძანდებით, ამიტომ მიიღეთ ცნობად, რომ გავდივარ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმიდან.

**ვახტანგ ჭელიძე**

21 ოქტომბერი, 1991 წ.

---

## „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის განცხადება

ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფის (იხ. „ახალგაზრდა ივერიელი“ 22. X-91) საპასუხოდ გვინდა განვაცხადოთ, რომ „ლიტერატურული საქართველო“ არ ადგას „ცილისწამებლურ პოლიტიკას“, არ შეუდგენია ე. წ. დასაჭერთა სიები და არც ცალმხრივად არ გაუშუქებია მოვლენები. მკითხველს შევახსენებთ, რომ სწორედ ჩვენ დავბეჭდეთ ძირითადად ამავე ავტორთა საპროტესტო კოლექტიური წერილი (ორ ნომერში), არ. ჭილაშვილის, რ. ჭეიშვილის, რ. ამაშუკელის, ჯ. ჩარკვიანის, გ. ფანჯიკიძის, ქ. ლევდარიანის, ნ. აბაშიძის, ნ. ქურჩულაშვილის, ქ. ქურჩულაშვილის, ჯ. თითმერიას და სხვათა წერილები, რომელთა ავტორები მკაცრად აკრიტიკებენ მწერალთა კავშირსა და „ლიტერატურულ საქართველოს“, როგორც ჩანს, კოლექტიური წერილის ავტორებს მ. შათირიშვილის ნოველა „მაუზერიც“ არ წაუკითხავთ. ცხადია, გამოვაქვეყნეთ საპირისპირო შინაარსის სტატიებიც, რადგან საფსებით ბუნებრივად მიგვაჩნია აზრთა სხვადასხვაობა: საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი არ ეკუთვნის მხოლოდ იმ 66 მწერალს, რომელთაც ტრიბუნა დაუთმო „ახალგაზრდა ივერიელმა“.

არცერთი მწერლის დაბეჭდვისაგან თავი არ შეგვიკავებია ჩვენგან განსხვავებული თვალსაზრისის გამო. მომავალშიც შევეცდებით რეალურად ვარჩევნოთ მწერლობაში არსებული ურთიერთსაპირისპირო შეხედულებანი და სულაც არ ვაპირებთ რომელიმე ჯგუფის დიქტატს დავემორჩილოთ.

28. X. 1991 წ.

---

# შინ დაბრუნდით, ბატონებო!

მოხდა სამწუხარო და გაუგონარი ამბავი — დღეს ქართული მწერლობა, როგორც ავტონომიური ფენომენი, ამოვარდა მოვლენების საერთო ჭაჭვიდან, მის ადგილზე დარჩა სიცარიელე და მოგონება წარსულ ბედნიერ დროებზე, როცა იქ „ერის წინამძღოლები“ იდგნენ.

კოლონიურმა მონობამ და მმართველობის ეროვნული ინსტიტუტების გაუქმებამ მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე წინ წამოსწია მწერლის, როგორც ეროვნული მოღვაწის როლი, ხოლო მწერლობამ ერის წინამძღოლის ფუნქცია 60-იანი წლებიდან შეიძინა. ამ თაობის დიდმა მოღვაწეებმა ილიამ და აკაკიმ მწერლის ეს მისია დააკანონეს თავის ცნობილ ლექსებში. ამრიგად, ქართულმა მწერლობამ ესთეტიკური და მხატვრულ-ფილოსოფიური ასპექტების გარდა, საზოგადოებრივი აზრისა და ეროვნული ცნობიერების მაორგანიზებელი ეროვნულ-პოლიტიკური ინსტიტუტის ფუნქციაც იტვირთა.

„ერის წინამძღოლის“ ილუზია ქართულმა მწერლობამ კომუნისტური ხელისუფლების დროსაც კი შეინარჩუნა და, რაც უნდა პარადოქსი იყოს, კომუნისტი ლიდერები ამ აზრს არ ებრძოდნენ, არამედ ცდილობდნენ მწერლობის ავტორიტეტი თავისი იდეების სასარგებლოდ გამოეყენებინათ, იგონებდნენ წახალისებისა და გადაბირების ათასგვარ ფორმას, ქმნიდნენ პროკომუნისტურად განწყობილ მწერალთა კულტს.

ამ ფიზიონომიის მწერალთა ბოლო თაობა დღეს იდეურ გზაგასაყარზე აღმოჩნდა და კონფლიქტიც აქედან იღებს სათავეს. მათ „ერის წინამძღოლის“ როლს ეროვნული მოძრაობის პოლიტიკოსები შეეცილნენ, რომელნიც ხალხისათვის გასაგები და მისაღები ლოზუნგებით მოვიდნენ.

წინა რეჟიმის დროს მწერალი აშკარად თუ ფარულად ეროვნული თავისუფლების იდეის მქადაგებელი, ეროვნულ პრობლემებზე მოსაუბრე პიროვნება იყო, გაბატონებული იდეოლოგია კი უეროვნებო კომუნიზმის იდეებს ემსახურებოდა და ხალხი, რასაკვირველია, სულიერი წინამძღოლის როლს მწერალს აკუთვნებდა, ხოლო როცა იგივე იდეები პოლიტიკოსებმა წამოაყენეს, სურდა თუ არა, მწერლობას „ერის წინამძღოლის“ ილუზორული ფუნქცია მათთვის უნდა გადაეცა, თავად კი მშვიდად თავის პროფესიულ საქმიანობას დაბრუნებოდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, გაჭირდა იმის გაგება, რომ ძველი დრო და ფუნქცია, მმართველობის ეროვნული ინსტიტუტების აღდგენის კვალობაზე, წარსულს ჩაბარდა.

ამრიგად, დღევანდელი გათიშულობის, კონფლიქტისა და ზღვარგადასული პოლიტიზაციის მთავარი მიზეზი ის კი არ არის, რომ მწერალთა ერთმა ნაწილმა პრივილეგიები დაკარგა, ხოლო მწერალთა მეორე ნაწილი ცდილობს მათ მოპოვებას, არამედ მწერლობის აქტიური და პრეტენზიული ნაწილი, ცნობიერად თუ არაცნობიერად იბრძვის უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში დამკვიდრებული ადგილის შესანარჩუნებლად და პოლიტიკურ წრეებთან კონფლიქტიც გარდაუვალობად იქცა; შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ მწერლობა დაუბრუნდეს იმ როლსა და ფუნქციას, რაც ყოველ ცივილიზებულ და თავისუფალ ქვეყანაში გააჩნია მას. მაგრამ რაც უნდა გასაოცარი იყოს, მწერლობას პოზიციების დათმობა აღარ უნდა, მწერლები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და, რადაც უნდა დაუჯდეთ, ცდილობენ თავიანთი წამყვანი როლის შენარჩუნებას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, პოლიტიკური ვნებებით შეპყრობილი ჩვენი ძვირფასი კოლეგები ვერ ხვდებიან, ან არ უნდათ გაიგონ თუ სინამდვილეში როგორ იქცნენ პოლიტიკური ბანაკების ბრმა იარაღად და სპეკულაციის ობიექტად. ზოგმა ხელისუფლების მიერ ნაბოძები რევოლვერი გაირჭო წელში, ზოგმა, როგორც ამბობენ, ოპოზიციისაგან ნათხოვარი ავტომატი გადაიკიდა მხარზე და თუ საქმე საქმეზე მიდგა, ალბათ, ერთმანეთისათვის სროლასაც არ მოერიდებიან.

ღმერთო, გვიხსენი მწერალმკვლელებისაგან!

ულმობლობამ, ეჭვმა და ფანატიზმმა დაისადგურა სამწერლო ოჯახში. — შენ რომელ ბანაკში ხარ? — ეჭვით მათვალიერებს გუშინდელი მეგობარი და თუ მრისხანე ლანძღვა-გინებით აღსავსე პასკვილებს არ თხზავ, თუ დღენიადაგ არ აგროვებ ხელმოწერებს ერთი რომელიმე ბანაკის წინააღმდეგ, მაშინვე „მოღალატის“, „აგენტის“, „უპოზიციოს“, „შემგუებლის“ იარლიყს დაგაკრავენ.

თანამემამულეთა კონფლიქტში პოლიტიკურ ძალებს, საზოგადოებრივ ფენებსა და ჯგუფებს, ალბათ, აქვთ არჩევანის უფლება — რომელ მხარეს დადგნენ. მაგრამ მწერალს, ტრადიციულად ჰუმანიზმის, მშვიდობისა და ადამიანთა ნეთს ისევ მაჩაბლის 18-ში უნდა შევხვდეთ!

საით მივდივართ, გონს მოვეგოთ, ბატონებო!

კალმისა და სიტყვის მეტნაკლებად ფლობის ნიჭი ხომ იმიტომ მიაგო მწერალს ბუნებამ, რომ ეს ღვთაებრივი ალჭურვილობა არასოდეს გავცვალოთ ჩვეულებრივ სასიკვდილო იარაღზე, ახლა რომ ყოველ ვიგინდარას უჭირავს ხელში. მწერალს ხომ თავისი ფრონტი აქვს და იქ შეიძლება უფრო წარმატებით ებრძოლო დიქტატურასა და ტოტალიტარიზმს თუ ამგვარი საფრთხე არსებობს ან მომავალში წარმოიშობა, ებრძოლო პრეზიდენტსაც, თუ შენი რწმენა ამას გკარნახობს, ეკამათო ოპოზიციასაც თუ გული გერჩის, წინ აღუდგე ყოველგვარ სიმდაბლეს, უზნეობას და კერპთაყვანისმცემლობას. განა ამგვარი ბრძოლების ცეცხლით არ არის განათებული სულიერი ამაღლებისათვის მოწოდებულს, არა მგონია ამგვარი არჩევანის, რომელიმე პოლიტიკურ ბანაკში ყოფნის უფლება გააჩნდეს და თუ მაინც პოლიტიკის გარეთ ვერ დაძლდა, იგი მხოლოდ შუამავლად და მშვიდობის მქადაგებლად უნდა მოგვევლინოს.

ომობანას თამაშში ჩართული კალმოსნების ცქერა სასაცილოც არის და სამწუხაროც, მიუტევებელი გულუბრყვილობა, პროვინციალიზმი, დილეტანტიზმი, წვრილმანი პიროვნული ვნებები, ულირსობა და უზნეობა იფურჩქნება ირგვლივ.

პოლიტიკა რის პოლიტიკაა თუ მიმოქცევაში უზნეო მეთოდები არ ჩართო: ყოველი პოლიტიკური ბანაკი ცდილობს ბოლომდე გამოიყენოს საზოგადოებრივი გავლენის ის ნაშთები, რაც ჯერ კიდევ შემორჩა მწერლობას, მიმხრობილ მწერლებს მოიერიშე რაზმში რიცხავს და მეორე ბანაკს ნიშნისმოგებით გაძახის — აი, ხომ ხედავთ, მწერლობა ჩვენთან არისო. ამ ახალი მდგომარეობით აღფრთოვანებული მწერალიც ამაყად დააბიჯებს და ეჭვიან მზერას ხიშტივით გილერებს: შენ რომელ ბანაკში ხარ?

გონს მოვეგოთ, ბატონებო! როგორც კი შევურიგდებით იმ აზრს, რომ საქართველო რაღაც ბანაკებად არის დაყოფილი და ჩვენ რომელიმე მათგანს ვემხრობით ან ვმტრობთ, ჩვენი მწერლობა და ერისკაცობა მაშინვე წვრილმან ამბიციებად დაზურდავდება, ფუქსიტყვაობად და სიყალბედ იქცევა.

ის პოლიტიკოსები, დღეს რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდებიან ერთმანეთს, ხვალ შეიძლება გვერდიგვერდ ისხდნენ სამთავრობო პრეზიდიუმში, პოლიტიკა რის პოლიტიკაა, თუ მოსისხლე მტრები ოდესმე ერთად არ შეყარა, რაც უნდა სძულდეთ მათ ერთმანეთი. მაგრამ პოლიტიკის გარეთ მდგომი ადამიანი გულს იმეთად მოიბრუნებს იმაზე, ვინც გუშინ „მოღალატეს“, „აგენტს“, „გამყიდველს“ ეძახდა, პასკვილებს უთხზავდა და სულში ხელს უფათურებდა.

ის დროც დადგება, როცა პოლიტიკოსები, მას შემდეგ რაც თავის მიზნებს აღასრულებენ, თავაზიანად დაითხოვენ მწერლებს პოლიტიკური ასპარეზიდან, რადგან იქ, უბრალოდ, მათთვის ადგილი აღარ დარჩება, რაც უნდა იფიცებოდნენ გული პატრიოტიზმით გვეწვისო, და ჩვენ ერთმაჭეშმარიტი მწერლობის მთელი გზა? განა მწერლის საწერი მაგიდიდან უფრო იოლი არ არის თანამემამულეებთან საუბარი, ვიდრე მიტინგის ხმაჩახლეჩილი მიკროფონიდან? თუ საქართველოს ნამდვილი თავისუფლება უწერია, ეს დიადი მოვლენა მწერალს აუცილებლად ჩამოხსნის „ერის წინამძღოლის“ ტვირთს და მას პროფესიონალ პოლიტიკოსებს გადაულოცავს. არც ერთ თავისუფალ და ცივილიზებულ ქვეყანაში მწერლობა ერის წინამძღოლი არ არის, მწერლობის ეს ფუნქცია მხოლოდ ქვეყნის კოლონიური მონობის ჟამს აღმოცენდება, როცა ეროვნული პოლიტიკური სისტემა გაუქმებულია და პოლიტიკოსებისთვის ასპარეზი აღარ არსებობს.

არც ერთ ცივილიზებულ და თავისუფალ ქვეყანაში პოლიტიკოსებს არ უყვართ მწერლები, მწერლებიც ირონიულად ან სულაც მტრულად უყურებენ პოლიტიკოსებს, და მათ, ალბათ, სასაცილოდ არ ეყოფათ, პარლამენტში არჩევა რომ შესთავაზონ, მწერლებსა და პოლიტიკოსებს თავთავისი სფეროები აქვთ განაწილებული, ერთმანეთის საქმეში არ ერევიან.

მწერლობის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გადაქცევა საბჭოური იდეოლოგიის მეთოდია და საბჭოთა ბელადთაგან უდიდესს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა — მწერალი ადამიანის სულის ინჟინერიაო. შესაბამისად, საბჭოური სისტემა ყველაფერს აკეთებდა, რათა ამ „ინჟინრებს“ „ჰომო სოვეტიკუსის“ სულიერი სამყარო ეშენებინათ.

ნუთუ წარსული მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ მას მხოლოდ ზურგი ვაქციოთ, ნუთუ არც უნდა ვისწავლოთ და არც უნდა დავივიწყოთ რამე?!

●

ქართულ მწერლობას პოლიტიკის გარეშეც თავისი უდიდესი და უმძიმესი პრობლემები აქვს, სადაც კამათისა და დისკუსიისათვის ახვევე უსაზღვრო ასპარეზი არსებობს, იმ განსხვავებით, რომ ეს იქნება პროფესიული, ლიტერატურული და, მაშასადამე, მწერლობისათვის გამოსადეგი აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენ კი პროფესიულ დისკუსიებს დიდი ხანია გადავეჩვიეთ, იძალა ლაზღანდარობამ მწერლობის თემაზე, პირად ანგარიშსწორებათა ყინმა, კასტურმა ტენდენციებმა. ახალ დროს ახალი კონიუნქტურა და უზნეობაში გადასული იდეური ფერისცვალება მოჰყვა. გუშინდელი „ლენინური ხუთწლედების“ მგზნებარე მომღერალი დღეს მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სახოტბო ლექსებს თხზავს, გუშინდელი კომკავშირისა და პარტიის ცკ-ს ფუნქციონერი დღეს პრეზიდენტის ფანატიკურ თაყვანისმცემლად და ერთგულ ქვეშევრდომად გვევლინება. სხვა არის ადამიანთა გულწრფელი მეტამორფოზა, სულ სხვაა ქამელეონური ფერისცვალება, თუმცა მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ ვინმეს მოეკითხოს მისი წარსულისთვის, ჩვენ ყველანი უზნეო, ტირანული და სისხლიანი ეპოქის შვილები ვართ; მხოლოდღა იმ აზრს ვემხრობი, რომ ლიტერატურულ სუროგატსა და უნიჭო პანეგირიკს, ნამდვილ მხატვრულ ღირებულებასა და ერის სულიერ შენაძენს ლიტერატურულ კამათში თავთავისი სახელი დაერქვას.

ხელახალ წაკითხვას მოითხოვს საბჭოური ეპოქის მთელი ქართული მწერლობა, თუ წინა თაობების ნაღვაწი თუნდაც ცალმხრივად, „სოციალისტური რეალიზმის“ პოზიციებიდან მაინც არის შეფასებული და ეს შეფასებები პროფესიონალიზმის ელემენტებსაც შეიცავს, სრულიად შეუსწავლელია უკანასკნელი ოცი-ოცდაათწლეულის ქართული მწერლობა, ამ პერიოდში დამკვიდრებული მხატვრულ-ფილოსოფიური და ეროვნული კონცეფციები.

ლიტერატურაში პოპულისტური მეთოდების მოძალებამ, „ხალხში სიარულმა“, სამთავრობო წრეებთან ახლოს ყოფნამ მცდარი ორიენტაცია შეუქმნა მკითხველთა მასებს და სრულიად მიჩქმალული აღმოჩნდა ნამდვილი ლიტერატურული ღირებულებანი და მათი შემოქმედნი. ცალკე მსჯელობას მოითხოვს მწერალთა სოციალური დაცვის პრობლემები.

უახლოეს მომავალში ყველაფერს თავისი სახელი უნდა ეწოდოს არა პოლიტიკური ბანაკებიდან გადაძახილ-გადმოძახილით, არა პოლიტიკური ფიგურების ზურგს უკან დგომით, არამედ დინჯი ლიტერატურული, პროფესიული დისკუსიით, მხოლოდ ლიტერატურულ წრეებში და მხოლოდ მწერალთა კავშირში.

სამწუხაროდ, ამ პროცესის განვითარებას დიდად აბრკოლებს მწერალთა კავშირის ორგანიზატორული როლის დაქვეითება. ამ ორგანიზაციის სტრუქტურული და თვისებრივი გარდაქმნის აუცილებლობა ცალკე საუბრის თემაა და, მე ვფიქრობ, ამის გამო „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე ცალკე დისკუსია უნდა გაიმართოს, ყველაფერს უნდა მიეცეს კანონიერი სახე, ისე როგორც მწერალთა უმეტესობა ისურვებს და საჭიროდ ჩათვლის, რადგან ძალადობა ძალადობათა ჯაჭვურ რეაქციას იწვევს. ამა თუ იმ ხელმძღვანელის ძალადობრივი გადაყენების მოთხოვნა, ასე ხშირად რომ გაისმის დღეს, პერმანენტულად განვითარდება მთელს საზოგადოებრივ სტრუქტურებში და ძალადობის დაუსჯელობის ატმოსფეროს შექმნის.

დგება ჟამი, როცა რადიკალიზმი ზომიერებით, მემარცხენეობა ცენტრიზმით, მემარჯვენეობა ლიბერალიზმით უნდა შეიცვალოს, მხოლოდ ზომიერებით, სულიერი წონასწორობით, კასტური და პარტიული ამბიციების უარყოფით, შეიძლება, ალბათ, დღეს თანხმობისა და ერთიანობის მიღწევა, როცა ბრძოლისა და ძმათა შორის შუღლისათვის პრინციპული პოლიტიკური მიზეზი არ არსებობს და განხეთქილება, როგორც პოლიტიკურ წრეებში, ასევე სამწერლო ცხოვრებაში მხოლოდ პირად სიმპათია-ანტიპათიებს ემყარება.

**დავით მეძმური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენ რაღდა, ბატონო რევაზ!

ა. წ. 22 ოქტომბერს „ახალგაზრდა ივერიელში“ ერთი წერილის სათაურს რომ მოვკარი თვალი („ქართველი მწერლების განცხადება“), — ვიფიქრე: ყველა ქართველ მწერალს ერთობლივი განცხადება გაუკეთებია, რომელიც დღევანდელ, ყალყზე შემდგარ, აწეწილ-დაწეწილ საქართველოს საქმეში წაადგება-მეთქი!..

... ავტორი? — ვინ არის ავტორი! დავხედე: ავტორი „კოლექტიურია!“ ვაითუ — გამოვრჩი (ჩემთვის ხელისმოწერა, ამჯერად, არავის უთხოვია).

ვკითხულობ გვარებს... სია თქვენით იწყება, — ერის წინაშე მართლაც რომ დიდად დამსახურებული მწერლისა და მოღვაწის გვარ-სახელით.

... აჰრელდა... აჰრელდა სია!.. არა, მე აქ არ ვიქნები... და — არცა ვარ!

ხელმომწერთაგან ყველასთან,— უკლებლივ ყველასთან, — თითო ჭიქა ღვინო მაინც ამიწევია, თქვენ წარმოიდგინეთ — უახლოებთანაც კი!.. ზოგთან — ორმოცწლოვანი ძმობა მაკავშირებს!..

როგორც გნებავთ — ისე გამიგეთ და... ცრემლები მომადგა თვალზე!..

... ზოგი ხელმომწერისა არ მიკვირს: ცხოვრებაა ეს ოხერი ასეთი: რაც ეკუთვნის, იმაზე მეტი აქვს, და მაინც, — მეტი უნდა, მეტი და მეტი!..

... არც გელა კიკოლაშვილისა მიკვირს: მას და მასზე მეტად დამსახურებულსაც მწერალთა კავშირიდან შეიძლება მართლაც დააკლდა და აკლია (ჭერჭერობით!) რაიმე, მაგრამ...

... თქვენ რაღდა, ბატონო რევაზ?!.. ესაა „აწონილი სიტყვა“ და აწონილი საქმე? ესაა ახლა საჭირო დღევანდელ ვითარებაში, დღევანდელ საქართველოში?

მოიცალა კი მწერალთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ მწერლების შემოქმედებითი მუშაობისათვის საჭირო პირობებზე მთლიანად და სავსებით საზრუნავად? დაგავიწყდათ 1989 წლის შემოდგომიდან რა ამბავი ტრიალებდა და ტრიალებს მწერალთა კავშირში? აქ არ ენთო ბრძოლის ცეცხლი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით? აქ არ მოდიოდა დიდი იმედით ყველა, ამ პარტიიდანაც და იმ პარტიიდანაც? მწერალი თუ მეცნიერი, მუშა თუ სტუდენტი, თქვენ წარმოიდგინეთ — საქართველოს ყველა კუთხიდან — ქალაქებიდან და სოფლებიდან?..

... თქვენც აქ არ ბრძანდებოდით, ბატონო რევაზ, ერთ-ერთი პირველი და ჭკუასაკითხავი კაცი?.. (თუმცა, თქვენ არაფერი ოფიციალური თანამდებობა არ გეკავათ და არც არასოდეს გითხოვიათ ასეთი რამ!).

დიახ, ასე იყო და ეს ასე გრძელდება დღესაც! — არ მიეცა მწერალთა კავშირს საშუალება შესაფერისად იზრუნოს ყველა მის წევრზე...

მაგრამ... რაც გაკეთდა, იმაზე რატომ ვხუჭავთ თვალს?..

ისედაც გათიშულ და დანაწევრებულ საქართველოს (ღმერთმა ჰქნას — დროებით გათიშულსა და დანაწევრებულს) მწერლების ეს „განცხადება“ აკლდა სწორედ.

... თქვენ მაინც რაღდა, ბატონო რევაზ!..

.....

ამ რეპლიკის ადრესატის გვარს, წერილის შინაარსიდან გამომდინარე, — მკითხველი თავად მიხვდება!

პატივისცემით:

**გივი ძნელაძე.**

# მესამე გასროლა

მწერალთა სასახლე მარტოოდენ უნიკალური არქიტექტურული ნაგებობა როდია, არამედ საქართველოს ეროვნული სახატეა. ილია ჭავჭავაძესა და მისი დიდებული ეროვნული კორპორაციის შემდეგ არავის უბრძოლია საქართველოს ერთიანობისა და მისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, როგორც სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს, პროვოკატორებმა სწორედ რომ ილიას საქართველოს ესროლეს შუბლში ტყვია, ილიასა და მეოცე საუკუნის ქართველი კლასიკოსების სულიერ სამყოფელს. შეჩერდით! ამას რას ჩადიხართ, მოგვძახიან ილიასა და აკაკის აჩრდილები.

საქართველოს მტრებმა XIX საუკუნის მამას პირველად 1907 წელს ესროლეს; მეორეჯერ —როცა სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს შოთა, ილია, აკაკი... ხოლო ახლა, მესამეჯერ ტყვიების ჭერით დაცხრილეს, დაცხრილეს ნაძირალებმა ეს წმიდათა-წმიდა ტაძარი ქართული კულტურისა. ვაი, რა სამწუხაროა. ამ ვანდალურმა აქციამ მძიმედ მატკინა გული, რამეთუ ამ ტაძარში გიორგი ლეონიძესთან ერთად შევედი 1951 წელს, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი მწერალთა კავშირისა და მთელი ოცდასამი წელი ვემსახურე ჩვენს სათაყვანებელ ქართულ მწერლობას, (დღემდე მისი პრეზიდიუმის წევრი ვარ), აქ გავატარე ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. ველოლიავებოდი და ვუფრთხილდებოდი აქ დაცულ უნიკალურ ნივთებს, ქართული მწერლობის კლასიკოსებს: გალაკტიონ ტაბიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძეს, ლეო ქიაჩელს, შალვა დადიანს, იოსებ გრიშაშვილს... მათ გაუნდვიათ ჩემთვის თავიანთი სულის საიდუმლო, დიახაც, ვამაყობ იმით, რომ ჩემს იქ ყოფნის წლებში პროზის სექციას ლეო ქიაჩელი ხელმძღვანელობდა; მთარგმნელთა სექციას— გერონტი ქიქოძე და შალვა აფხაიძე, დრამატურგიას — შალვა დადიანი, 1955 წელს კი გალაკტიონ ტაბიძე პოეზიის სექციას ჩაუდგა სათავეში. დიახ, ის გალაკტიონი, რომელიც ამბობდა: „ჩვენს პოეზიაში წარსული ისმის ნამდვილი, განცდილი, სისხლით გამოსყიდული წამება და ჯვარცმა. პოეზიის ქარიშხლიანი წარსული ეთანაბრება საქართველოს წარსულს. საქართველომ პოეტისაგან და პოეტმა საქართველოსაგან ისესხა მანერა საუბრის, მანერა სულის გაქანების, მანერა ბრძოლისა“. ამ ლოზუნგით მოღვაწეობდნენ, ამ დევიზით იბრძოდნენ საქართველოს მწერალთა ტაძარში ჩვენი დროის გამოჩენილი მწერლები ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. სწორედ ამ ტაძარში გაისმა პირველი საგანგაშო ხმა 1921 წელს: „თვითმპყრობელობა წითელი დროშით კვლავ დაგვიბრუნდა“. კონსტანტინე გამსახურდია კი აცხადებდა: „ბოლშევიკების დიქტატურას ქრისტიანული კულტურის დიქტატურა უნდა დაუპირისპიროთ“...

ყოველი ქართველისათვის მწერალთა სასახლე ის ჩაუქრობელი ეროვნული კერაა, საიდანაც სამშობლოს ზარი რეკავს და გვეძახის დავიცვათ მამული ჩვენი. ისმინეთ ქვეყნის განახლების ზარი: „მამული, ენა, სარწმუნოება“...

კაცთმოძულეობით დაბრმავებულებს ავიწყდებათ, რომ მათ ისტორია სასტიკ განაჩენს გამოუტანს.

**სერგო ჭილაია**

# საქართველოსთვის

გამიფერმკრთალდა
ცა და ზმანება,
ისმის ტკივილი
გზების და ფრთების...
დავითის
ჯიშის გასახარებლად,
თამარის
ჯიშის გასახარებლად,
ილიას
ჯიშის გასახარებლად —
უნდა შევრიგდეთ
ქართველი ძმები!

უწყის ერმა და
ცათა გამჩენმა,
რა სასტიკია
სურვილი მტრების...
წინაპრის
ფუძის გადასარჩენად,
ქრისტეს
ტაძრების გადასარჩენად,
ტანჯული
ქვეყნის გადასარჩენად —
უნდა შევრიგდეთ
ტანჯული ძმები!

ჰაერს შესცვლია
ხმა და იერი.
გვიყურებს,
ხარობს
ბუნაგი მგლების...
არ გავახაროთ გადამთიელი!
არ გავახაროთ გადამთიელი!!
არ გავახაროთ გადამთიელი!!!
საქართველოსთვის
შევრიგდეთ ძმები!

**ვაჟა ხორნაული**

# „ამნაირ სიტყვას არ მკადრებ არვის“

ძირძველი ტრადიციების მქონე ქართულ ოჯახში ვარ აღზრდილი და ზრდილობა არ მესწავლება — კარგად ვიცი, ვის როგორ მივმართო. ჰოდა, მით უფრო, იმას როგორ ვიკადრებ, ცნობილი პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი „კორ. ჯ. ჩარკვიანად“ მოვიხსენიო. არადა, სრული უფლება მქონდა, ასე მოვქცეულიყავი, თქვენი „მეთოდი“ რომ გამომეყენებინა, ბატონო ჯანსუღ.

გულწრფელად გეტყვით: წყენასთან ერთად ღიმილიც მომგვარა და თქვენდამი სიბრალულის გრძნობაც აღმიძრა თქვენმა პასკვილმა, არ დავმალავ — გამაოცა კიდეც. იმან გამაოცა, რომ ინფორმატორისადმი მიმართულმა ჩემმა რეპლიკამ თქვენ დაგაკარგვინათ წონასწორობა და უკადრებელიც გაკადრებინათ. უნებლიეთ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თქვენ იყოთ იმ ინფორმაციის ავტორი.

შორიდან ვიცნობო, წერთ ჩემზე. „შორიდან“ კი მიცნობთ, მაგრამ ძალიან კარგად იცით, ვინაც ვარ, ამიტომ საკუთარ თავს იმცირებთ, როცა წერთ: „წაკითხული მაქვს მისი (ე. ი. ჩემი— მ. ჩ.) კორესპონდენციები“-ო.

ვის, ვის, მაგრამ პოეტს, ისიც რუსთაველის პრემიის ლაურეატს, არ ეკადრება ასეთი „ანგლობა“.

მახლას!

შორიდან ვიცნობო. მერედა, თქვე დალოცვილო, შეიძლება ასე „უპრაგონოდ“ ლაპარაკი იმ კაცზე, ვისაც შორიდან იცნობთ?

აბა, ცოტა „ახლოდან“ რომ მიცნობდეთ, მაშინ... მისამართი არ შეგეშლებოდათ და ხელწამოსაკრავსაც სხვაგან მოიძიებდით (ისე კარგი იქნებოდა, მწერალთა გაზეთს მაინც დაეყენებინეთ სწორ გზაზე, რათა თქვენი „ოპუსი“ ამ საჯაყი სახით არ დაბეჭდილიყო).

მისამართი შეგეშალათ-მეთქი. სამწუხაროდ, თქვენ სხვა რამეც გეშლებათ უკანასკნელ ხანებში, მაგრამ... ღმერთმა შეგინდოთ.

**„... წაკითხული მაქვს მისი მსგავსი კორესპონდენციები, სწორედ იმ მომენტში, როცა კაცის ჩაწიხვლაა საჭირო. მან კარგად იცის, რომ ბოლო წიხლიც საქმეში ჩაეთვლება“** (ხაზგასმა ჩემია აქ და სხვაგანაც — მ. ჩ.)

ამას წერთ ჩემზე და, ალბათ, ოდნავადაც არ გრძნობთ სინდისის ქენჯნას. არც ღმერთი გწამთ, ალბათ, თორემ „არა ცილ სწამო“-ს მაინც დაიმახსოვრებდით და ცილისწამებისგანაც თავს შეიკავებდით. ღმერთი რომ გწამდეთ და სიმართლეს ამბობდეთ, მაშინ ერთ ფაქტს მაინც მოიშველიებდით იმ ბრალდების დასტურად, მე რომ წამომიყენეთ.

შეურაცხყოფასა და ცილისწამებაზე რომ არაფერი ვთქვათ, კამათის კულტურაზედაც თვალი დავხუჭოთ, ლოგიკურობასა და სერიოზულობასთან ოდნავ მიახლოებული მსჯელობა მაინც უნდა შეგეძლოთ, ბატონო პოეტო.

მე რომ თქვენსავით ჰაიჰარად არ ვისვრი სიტყვებს, ამის დასტურად ორიოდე პასაჟს მოვუხმობ თქვენივე „ნაწარმოებიდან“.

**„პატივცემულ კორესპონდენტს რაც არ უნდა გული წაუვიდეს, 10.000 უფრო ნაკლებია, ვიდრე 25.000 და გაცილებით ნაკლები, ვიდრე 100.000“.**

**„ქვეყანა ინგრევა და მისი გაოცებული წერილი ჯერ არ შემხვედრია. აბა, ჩემი წიგნის მართლა ამ მცირე ტირაჟმა რით გააოცა?“**

ერთადერთი სიმართლე, რასაც თქვენ ბრძანებთ, ბატონო ჯანსუღ, ესაა: „ქვეყანა ინგრევა და მისი გაოცებული წერილი ჯერ არ შემხვედრია“-ო. „ქვეყნის ნგრევა“ ნამდვილად არ იწვევს ჩემს გაოცებას და, ბუნებრივია, „გაოცებულ წერილებსაც“ არ ვწერ. ჩემს შეშფოთებას, შეძრწუნებას და თავზარდაცემას კი ნამდვილად იწვევს საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. სწორედ ამ „ტალღაზეა“ დაწერილი ჩემი წერილები, რომელთა დაწუნების სრული უფლება გაქვთ პირადად თქვენ.

**„გავიყიდენით, ბატონო რედაქტორო, გავიყიდენით, თორემ ყოველ ნომერში ერთი და იგივე კაცის ლანძღვა განა მოსაბეზრებელი არ არის?“**

წერთ თქვენ და ეს სხვა არაფერია, თუ არა დემაგოგია. ჯერ ერთი, საკითხავია, ვინ გაიყიდა? პირადად თქვენ, თუ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, რომელიც კანონიერი პრეზიდენტის პოზიციას იცავს? მეორეც, მე ამ გაზეთის ყოველ ნომერს გულმოდგინედ ვეცნობი, მაგრამ თქვენი სალანძღავი წერილი მის ფურცლებზე არ შემხვედრია. სამაგიეროდ შემხვდა (ბოლო თვეებში):

1. პირადად თქვენი წერილი,
2. თქვენი დასაცავი წერილი (ფ. კოჟიაშვილისა).
3. ინფორმაცია (რეკლამა) თქვენს წიგნზე.

ხოლო ჩემი რეპლიკა, რომელსაც თქვენ რატომღაც პასკვილად მიიჩნევთ, არანაირად არ ჩაითვლება სალანძღავ წერილად.

ცნობისათვის: **პასკვილი** ცილისმწამებლურს, შეურაცხმყოფელს ნიშნავს.

**ლანძღვა** — შეურაცხმყოფელ სიტყვებს გულისხმობს.

აქვე დავძენ: ობიექტური კრიტიკა სულაც არ ნიშნავს ლანძღვას.

რაც შეეხება ჩემს შეურაცხყოფას და იმას, **ჩემს ცილი** დამწამეთ, რამაც საბოლოოდ გაგიხადათ საქმე, როგორმე ავიტან (ამაზე მეტს იტანს საქართველო).

**მიხეილ ჩაჩუა.**

19 ოქტომბერი, 1991 წელი.

## ბატონო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის 18 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილია ჩემი რეპლიკა „ნუ ესვრით მწერალს“, საიდანაც, ჩემთან შეუთანხმებლად, ამოშლილია შემდეგი წინადადება: „დგება პუტჩის მხარდამჭერ თუ თანამგრძნობელ მწერალთა სიები, მალე, ხალხის სახელით, ალბათ, მათ დაპატიმრებასა თუ დახვრეტასაც მოითხოვენ“. ამ ფრაზის ამოღებამ რეპლიკას სულ სხვა ელფერი შესძინა, მისი ავტორი კი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა; ამიტომ, თქვენი ქმედება მწერლის საავტორო და ადამიანის უფლებათა შელახვად მიმაჩნია.

**ნუგზარ შატაიძე**

18. X. 91 წ.

**რედაქციისაგან:** ნ. შატაიძემ რეპლიკა წარმოგვიდგინა სტამბაში, გაზეთის დაბეჭდვამდე რამდენიმე საათით ადრე და წავიდა ჩვენს მიერ მასალის გაცნობამდე. შეთანხმებაც ამიტომ ვერ შევძელით.

## გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორს

მთელი ქართველი ერი გააოგნა შემზარავმა ფაქტმა: 1991 წლის 16 ოქტომბერს დაუდგენელმა „გმირებმა“ ტყვიებით დაცხრილეს საქართველოს მწერალთა სასახლე.

სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის მთელი კოლექტივი კატეგორიულად მოვითხოვთ მწერალთა სასახლეზე თავდამსხმელი „რაინდები“ სასწრაფო მხილებას და დასჯას.

მოვითხოვთ შეწყდეს თავდასხმები ჩვენს საამაყო პოეტ მუხრან მაჭავარიანზე.

ღმერთი იყოს საქართველოს მფარველი!

**დიმიტრი კეზურია** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი; **ნოდარ როგავა** — ტექნიკუმის დირექტორი; **ალბერტ ბადელია** — დირექტორის მოადგილე. **შოთა კუპრავა** — დირექტორის მოადგილე, სულ 104 ხელმომწერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვინც გაინელა დიდი სიძულვილი,
მაინც შერჩა მცირეოდენი,
მას არ ძალუძს სიკეთის ქმნა".
**ლაო-ძი.**

# ვის ებრძვით, საკუთარ ხალხს?!

## მეგობრული წერილი ლერი ალიმონაკს

ჩემო მეგობარო, შენმა წერილმა „ნუ დაამწუხრებთ სხვის ცხოვრებას და თქვენც აღარ დამწუხრდება" ხელში კალამი ამაღებინა. ამის უფლებას მე ჩვენი მეგობრობა მაძლევს, რადგან თავს ვთვლი იმ მეგობრად, რომელმაც შენი პატარა გაჭირვება გაითავისა, დახმარებისთვის დედაკაცის ხელი გამოგიწოდა. ამიტომ შენ არ მისცემ უფლებას დღევანდელ გაკაპასებულ კაცებს შემომწყრნენ, რომელთაც მოზღვავებული ენერგია ქართველ ქალთა სალანძღავად და განსაქიქებლად მიუმართავთ მხოლოდ იმისთვის, სამშობლო რად გიყვართ და ქართველ ქალთა დამახასიათებელი სწორი განჭვრეტით სიმართლისთვის მიცემულ ხმას რად იცავთო, ძალიან დამწყდა გული, ლერი, შენი გვარი რომ ამოვიკითხე თემურ გიორგობიანის საპროტესტო წერილის გვერდით.

შენგან გამიკვირდა. დიახ, შენგან. ტერენტი გრანელის მოტრფიალეს, არ გელოდი მწერალთა კავშირის სასახლის დაკეტილ კარებთან კრების გამმართველთა რიგებში. ვერც იმას დავიჯერებდი, იმ დღეებში თქვენი სასახლის დაკეტვა და ამით თქვენივე სახელის მოფრთხილება, უნიკალური შენობის დაცვა ასე აგაღელვებდა. ჩემო ლერი, რამდენი რამ განადგურდა იმ დღეებში ჩვენს სალოცავ თბილისში? შემოდგომის აზნაურებივით მოგვაქვს თავი, თორემ?.. რა შეგვარჩინეს 70 წლის მანძილზე, რომ ისიც ვანგრიოთ? პრეცედენტი სარაჯიშვილის სახლის წაბილწვისა ხომ არსებობს (თუ არ ვცდები ერთი წლის წინათ?)- ფიცრებით, უზარმაზარი ლურსმნებითა და ნაჯახებით შეიარაღებული ზოგიერთი მწერალ-ლიტერატორი სახალხო ფრონტის დარბაზის წევრის ჯემალ ჯიქიას ხელმძღვანელობით როგორ ჭედდა თქვენი და ქართველი ერის სალოცავი სასახლის ერთ-ერთი ოთახის კარებს? რაო, გაუჭირდებოდათ ასეთ „ხუნვეიბინებს" იგივეს გამეორება?

გული მტკივა, მაშინ რატომ არ აღშფოთდი? ალბათ, მაშინ ჯერ კიდევ დაოს სიბრძნით მოქმედებდი: „სიკეთე მიაგე მოძულეს შენსას", შენსას, ჩემო მეგობარო თორემ, სამშობლოსას, ხალხისას კი არა. შენ კარგად იცი „რასაც მიაგებ, იმასაც მოგაგებენ" „დაიყვნეთ თქუენ მოძულებულ ყოველთაჲგან სახელისა ჩემისათვის: ხოლო რომელმან დაითმინოს, სრულიად იგი ცხოვნდეს".

სწორედ თქვენს კოლექტიურ წერილს მიაგება „მიმომხილველმა" თავისი წერილი. მეც არ მომწონს უსახელო წერილები, მაგრამ მომხრე ვარ, ერთმანეთის მოსასპობ წერილებს საერთოდ არ ეწეროს ავტორი, ამდენ ბოღმას და ბალღამს არ ჰყავდეს პატრონი...

შენსავით მეგობარი მყავს თემურ მეტრეველი. არ ვიცოდი, დიდი მწერლების დარად, ფსევდონიმი ჰქონია. იმავე გაზეთში, იმავე გვერდზე, შენს ქვემოთ, ერთ აბზაცს განმარტავს ოცდაოთხი აბზაცით, მინდა მოკითხვასთან ერთად ესეც გადაგცე:

ჩემო თემურ, ამდენი სიცრუე, ამდენი სიყალბე?! „მიმომხილველის" წერილში მოჭორილი არაფერია, თავადაც კარგად იცი. კიდევ ბევრი რამ და ბევრი ვინმეა დაზოგილი, ან არ სცოდნია ის, რაც თითქმის ყველამ იცის. რა წესია, თავად ოპოზიცია ყოველგვარ უზნეობას კადრულობდეს, მე „ინტელიგენტურ" ოპოზიციას ვგულისხმობ, და პასუხიც აღარ უნდათ პოზიციისგან ან, ამდენი სიყალბისაგან აღშფოთებული ნეიტრალური პოზიციისაგან.

ხომ ხედავ, ჩემო ლერი, ასეთი უცნაური ხალხი ვართ „ინტელიგენტები" — სიცრუეს სიმართლედ ვსახავთ, სიმართლეს სიცრუედ ვასაღებთ, ჩვენს უმეცრებას სხვის მეცნიერებაზე მაღლა ვაყენებთ, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემი შენ გითხარის პოზიციიდან ვუტევთ ერთმანეთს. მაგრამ ხალხი ბრძენია.

ხალხმა ნახა 15-16 წლის ბიჭებსა და გოგონებს როგორ აჰკიდეს ავტომატები, სუფთა დაუწერელ გულისფიცრებზე როგორ დააწერეს სიძულვილი. როგორ ასწავლეს დედებზე, მამებზე, ძმებზე, დებზე ჯიქურ მიხტომა, ხელის აღმართვა, ავტომატის დამიზნება და სროლა. რაღა ეშველება ამ თაობას, ამიხსენი, ლერი! ხალხმა ნახა სამხედრო ტექნიკა, რომელზედაც ჩვენი უწვერ-ულვაშო ბიჭები ისხდნენ, ტაშის გრიალით როგორ შეეგება ტელედეპარტამენტის მოჯანყეთა კუნძული... კომუნისტურმა მაფიამ შეაცდინა ყველა იქ მდგომი: სარდალი, გვარდიელი, პარლამენტის წევრი და გვერდში ამოიყენა საკუთარი პრივილეგიების დასაბრუნებლად, საკუთარი გაუკუღმართებული ცხოვრების დასაბრუნებლად. რამეთუ იგრძნეს — თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოში ველარ გასცემენ და ველარ აიღებენ ქრთამებს, ველარ იცხოვრებენ სახელმწიფოს ხარჯზე, ველარ მოპარავენ სახელმწიფოს, ველარ იყიდიან თანამდებობებს, სიმამრებს... წინასწარ ველარ აუშენებენ სახლებს ჯერ გაუჩენელ შვილიშვილებს და წინასწარ ვერ შემოფარგლავენ სტადიონებივით საგვარეულო საფლავებს...

ამას უკვე მიხვდა შეიარაღებული ძალა და ვაჟკაცურად გაეცალა ამ სამარცხვინო კუნძულს.

ახლა ეს, ჩემო ძმაო, და შენ რომ გგონია „დანოსი" ენთუზიაზმით მოუწოდებს „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის" შემსწავლელ საგანგებო კომისიას მასობრივი რეპრესიებისაკენო", ბავშვური არგუმენტია ან გადაბრალება ისევ და ისევ. ეს „დანოსი", როგორც გავიგე, საქართველოს მთავრობას უნდა მოუწოდებდეს, თქვენი აზრით, რეპრესიებისაკენ, რომელიც პატიების მეტს არაფერს აკეთებს!

ის „დანოსი" კი „გამოგრჩა" — ფულს და ენერგიას რომ არ ზოგავს — მოსკოვს მიაწოდოს და გააგებინოს ჩვენი ამბავი და დესპანს დესპანზე აგზავნის — ჩქარა, გვიშველეთ, რუსული ჩექმის სიმძიმე მოგვაკლდა, სულს კარგად ველარ ვლაფავთო, რას დაარქმევდი ამას?

აი, რეპრესიები, ჩემო ლერი, მაშინ იკითხე, გამარჯვებული „ინტელფრონტი" თუ კვლავ აგიფრიალებს იმპერიის დროშას თბილისის თავზე!..

კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობა მითი არ არის, სინამდვილეა. ამას ხედავდა ყველა. ამას აღიარებს ხალხი. მაგრამ ყველაზე უკეთ მაინც ოპოზიციამ იცის. თვალში ნაცრის შეყრის დრო წავიდა. ამისი უარყოფა უზნეობაზე აგებული უნამუსობაა და მართლაც, შენი სიტყვებით რომ ვთქვა, კარგად ხედავს ხალხი, ეს ავბედითი „საბარგო მატარებელი" საით მიჰყავთ. „საბარგო მატარებელი" და მარშრუტი (შორეულისაკენ) მოსკოვი-კალიმა ეკუთვნის რუსეთის მოდერნიზებულ იმპერიას, რომლის ქვეშევრდომობისათვის ასე თავგამოდებით იბრძვის ინტელიგენციის ფრონტის ერთი ნაწილი — „ინტელფრონტი". საქართველოს მთავრობას არც ასეთი მატარებელი აქვს, არც ასეთ მარშრუტზე უფლებამოსილება. და ამიტომ ფუჭია შიშიც.

ამ მატარებლით თუ მატარებლებით, გამიგია, ხრუშჩოვს უნდოდა ქართველების იქით წაყვანაო. და ვაი, თუ გაიმარჯვა „ინტელფრონტმა" — წითელ-წითელი ვაგონების ჩამოყენება მაშინ ნახე, ვუი მაშინ 87 პროცენტს საქართველოსას...

მაგრამ იცოდე, ერთ-ერთი მატარებლის წინა ვაგონში შენც აღმოჩნდები, რათაო, მკითხავ, იცი, რატომ? კარგად ვიცნობ „ინტელფრონტელებს" და იმიტომ!... ფრთხილად, ლერი! შენ ვერ გრძნობ ვის წისქვილზე ასხამ წყალს. გონს მოდი, თორემ როცა აღარ დასჭირდები, მაშინ ნახე „დოქსოპული...

მე კი, შენს მეგობარს, შენი შემოქმედების თაყვანისმცემელს, მჯერა, რომ შენ არავინ გძულს, მჯერა, რომ სიძულვილმა არ მოგაწერინა ხელი კოლექტიურ წერილზე ბატონ მუხრან მაჭავარიანის წინააღმდეგ. ეს რომ დავიჯერო, მაშინ უნდა ვიფიქრო, რომ შენ უარს ამბობ ტერენტი გრანელზე, შენს სიყვარულზე, შენს უზარმაზარ შრომაზე.

ამიტომ, სწორ გზას დაადექი, ძმაო, და მოაქციე ძმანნი შენნი. რამეთუ

უმაღლესი სათნოება წყალს
ჰგავს,
წყალს წყალობა მოაქვს ყოველი
არსისთვის;
წყალობა მოაქვს და:
არ თიშავს ერთმანეთისაგან,
ერთმანეთისაგან რომ არ
თიშავს,
არც ებრძვის მათ.

მორჩით ბრძოლას, ვის ებრძვით, საკუთარ ხალხს?! რა იარაღით? სიძულვილით?! დიახ, ეს ბრძოლაა სიძულვილისა სიყვარულის წინააღმდეგ. ამ სიძულვილმა ბოღმისა და ბალღამის მორევში რომ ჩაგითრიათ, კი ვხედავ, მაგრამ არ გაგწირავთ, ამოგიყვანთ, ჩვენი სიყვარულის დიადი ძალით და ამ ძალას თქვენც ისევ შთაგბერავთ. სიყვარულს, სიმართლეს, სიწმინდეს უდიდესი ძალა აქვს. მით უმეტეს, რომ ამ ძალით იბრძვის თვით ხალხი, ამ ძალით იცავს ხალხი თავისი სანუკვარი იდეის განმახორციელებელ პრეზიდენტს, რომელიც თავად აირჩია. ამ ძალით შეგბოჭავთ თქვენც, ჩაგისუტებთ და მოგეფერებით, როგორც ცოტა ხნით გაბუტულ ბალღებს. ეს ასე მოხდება. ეს ასე იქნება, რამეთუ საქართველომ ძალიან ბევრი დაკარგა და აწი არც არაფერი აქვს და არც არავინ ჰყავს დასაკარგავი.

შენი მეგობარი
**გულიკო გოჭაძე,**
გამომცემლობა „საქართველოს" რედაქციის გამგე

# მართლაცდა, ბნელა?!

კარგად უთქვამს ვაჟა-ფშაველას: სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას რომ ჰკვლენ, ცქერა გვწადიაო.

ვინ ვინ და მწერალს კი ნამდვილად არ უნდა ეწადოს სხვისი სიკვდილისა და სხვისი უბედურების გულგრილად ცქერა. ამგვარი მწერლის და მისი ნაწერის, რა უნდა იწამოს კაცმა.

ამას წინათ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულმა წერილმა „სიმართლე ეგრეთწოდებული მწერალთა კრების ირგვლივ" ჩვენი კოლეგების ერთ ნაწილში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ისინი, როგორც კულისებში, ისე პრესასა და რადიო-ტელევიზიაში გამოდიან და ამტკიცებენ, ეს წერილი შეკაზმულია და ოცდაჩვიდმეტი წლის სუნი ასდისო. სიმართლე უნდა ითქვას, „მიმომხილველი" ცოტა დაუკრეფავში გადასულა და ვერ დაუცავს ზომიერება და ტაქტი, მაგრამ ერთი რამ მაოცებს და ვერაფრით ამიხსნია, ამ ბოლო დროს სოკოებივით მომრავლებული, ამაზე უფრო გაცილებით უარესი წერილები რატომ არ გვაშფოთებდა, განა მანამდე ვერ ვგრძნობდით ოცდაჩვიდმეტი წლის სუნს?

ადამიანი მართლაც რთული არსება ყოფილა, როცა სხვას აწამებენ, დაუმსახურებლად თათხავენ, მიწასთან ასწორებენ და გაუგონარ ტკივილს აყენებენ, მაშინ ჩვენ ყოველივე ამას არამარტო გულგრილად ვუყურებთ, ზოგჯერ ვაქეზებთ კიდეც და ბეჭებზე ხელს ვურტყამთ, ყოჩაღ, კარგად მოთხარე მავანი და მავანიო, ხოლო როცა იმ ტანჯვას და წამებას ჩვენ მოგვაყენებენ, მაშინ უკვე ქვეყანას შევყრით, შავრაზმელიაო, ოცდაჩვიდმეტი წლის სუნი ასდისო.

ის ოცდაჩვიდმეტი წელი ერთმა თუ ორმა ტირანმა მოაწყო, მაგრამ ვაი რომ მე პირადად კარგახანია ვგრძნობ და ვხედავ, თვითონ მწერლები როგორ ვცდილობთ ერთმანეთს ოცდაჩვიდმეტი წლის უბედურება დავატეხოთ თავს.

აბა მითხარით, რაც ღვთისნიერ პოეტსა და ადამიანს იოსებ ნონეშვილს დავმართეთ, რით იყო ოცდაჩვიდმეტზე ნაკლები? ნურავის ჰგონია, რომ ადამიანს მარტო ტყვია ჰკლავს, ავი სიტყვა, მზაკვრობა, ვერაგობა, ჩასაფრება, უბინძურესი ცილისწამება ტყვიაზე ნაკლებ როდი ანადგურებს ადამიანს სულიერად თუ ხორციელად.

როცა მავანსა და მავან მწერალს უსამსო და მკრეხელური წერილებით ვაცამტვერებდით, ყურნებივით ვძიძგნიდით, მიწასთან ვასწორებდით, მაშინ არა გვცემდა ოცდაჩვიდმეტი წლის სუნი? თუ ახლაღა, „მიმომხილველის" წერილის შემდეგდა გაგვეხსნა დახშული ყნოსვა?

ზოგიერთი ჩვენი ცნობილი მწერლის წიგნები რომ ქუჩაში დაწვეს იმის გამო, აზრი რათ გამოთქვიო, ეს ოცდაჩვიდმეტ წელზე ნაკლები რით იყო? რატომ მაშინ არ ავტეხეთ განგაში, რატომ მაშინ არ ჩავფიქრდით, საით მივექანებოდით, ვის ხელში ვაგდებდით ჩვენს ბედსა და მომავალს?

მწერალი რომ მეორე მწერალს სასიკვდილოდ ჩაუსაფრდება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, დავიჯერო, მას ოცდაჩვიდმეტი წელი შეაშფოთებს?

ამა თუ იმ პოეტს რომ ტერორს გამოუცხადებ, ანდა სასიკვდილოდ თავზე დაესხმები, ამას რაღა დავარქვათ.

რამ გაგვაშმაგა ასე, რამ გაგვაბოროტა, რომ ერთმანეთს სასიკვდილოდ ვიმეტებთ და ისე ვექცევით, როგორც მტერი მტერს, ვითომ, მაღალმა იდეალებმა და სამშობლოს მომავალზე ფიქრმა? თქვენც არ მომიკვდეთ.

მწერალთა კავშირის შენობას რომ ტყვიით დაცხრილავ, როგორ ფიქრობთ, ეს რისი გაფრთხილებაა და დასაწყისია?

მაშ რატომ მაინცდამაინც იმ „მიმომხილველის" წერილზე ავტეხეთ ვაიუშველებელი და ვიშვიში? რას ნიშნავს ყოველივე ეს?

რაღაც არა მგონია სათნოება, სიკეთე და ქართველი მწერლის ბედზე შეჭირვება იმალებოდეს ამ აღშფოთებაში, ამ ვაივიშში. მე უფრო ის მგონია, რომ ეს შფოთიც კვლავ ვიღაცის შიმართ არის გამიზნული, რაღაც ზაკვაა ჩადებული, ერთის დამხობით მეორე უნდა აღზევდეს. აი, მთელი მიზანი, თორემ სათნოება და ერთმანეთის სიყვარული რომ უკვე დიდიხანია დავკარგეთ, ამაში ველარავინ გადამარწმუნებს და ვერც იმაში დამარწმუნებენ, რომ ოცდაჩვიდმეტი წლის სუნი მანამდე უამრავ სხვა წერილში უფრო მძაფრად არ იგრძნობოდა.

**სოლომონ დემურხანაშვილი**

# ალბომი გერცელ ბააზოვზე




ქართველ მკითხველთა და მაყურებელთა უფროს თაობას კარგად ახსოვს გერცელ ბააზოვის სახელი — მისი პიესები „მუნჯები ალაპარაკდნენ", „იცკა რიჟინაშვილი", „განურჩევლად პიროვნებისა", და სხვები 30-იან წლებში საქართველოს თითქმის ყველა თეატრის სცენაზე დაიდგა, ხოლო პროზაული ნაწარმოებები „ფეთხაინი", „შემარიას უკანასკნელი სიტყვა", „ველათის ქუჩის დასასრული" და სხვები დიდი ინტერესით იკითხებოდა. მის პიესებს დგამდნენ საუკეთესო ქართველი რეჟისორები, როლებს ასრულებდნენ შესანიშნავი ქართველი მსახიობები. ეს იყო მანამ, სანამ 1937 წელს სიცოცხლე არ მოუსწრაფეს 34 წლის მწერალს.

საქართველოში აღინიშნა გერცელ ბააზოვის დაბადების 66 წლისთავი. ხოლო 1976 წლის 2 მარტს ისრაელში, თელ-ავივში გამართულ გერცელ და დავით ბააზოვების (მწერლის მამა — ქართული სიონიზმის დამაარსებელი) ხსოვნის საღამოზე ისრაელის პრემიერ-მინისტრმა გოლდა მეირმა მაღალი შეფასება მისცა მწერლის მოღვაწეობას.

ახლახან ისრაელიდან მივიღეთ ალბომი, რომელიც ძველ ებრაულ და ქართულ ენებზე მოუთხრობს მკითხველს მწერლის ხანმოკლე ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ალბომში, რომელიც უხვად არის ილუსტრირებული, მკითხველი თვალს გაადევნებს მწერლის ცხოვრებას ყმაწვილობიდან სიცოცხლის დასასრულამდე — ქართველი მწერლების გვერდით გადაღებული ფოტოები, წიგნების გარეკანები, სცენები ქართული თეატრების სპექტაკლებიდან, გამოჩენილი ქართველი მსახიობები გ. ბააზოვის ამა თუ იმ პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლების როლებში. აქვე დაბეჭდილია გ. ბააზოვის წერილები შალვა დადიანისადმი; კოტე მარჯანიშვილის, დოდო ანთაძის, ალექსანდრე თაყაიშვილის, თამარ ვახვახიშვილის და სხვა ქართველ მოღვაწეთა ფოტოები და მოსაზრებები, ქართველ სცენოგრაფთა ესკიზები სპექტაკლებისათვის, სხვა საინტერესო მასალები.

წიგნი დიდი სიყვარულით შეუდგენია და ქართული კულტურისადმი პატივისცემით განუმსჭვალია მწერლის დას ფაინა ბააზოვას.

## რეზო ამაშუკელი



# მრუდი ღამე და ავი სიზმარი —„გალილეა“

„...ეხრეთ იყვნენ წინანი უკანა, და უკანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, და მცირედნი რჩეულ“.

მათე.

I

ღამეა მრუდი,
კანტი-კუნტად ისმის სროლის ხმა!..
გაყინული მაქვს ძარღვში სისხლი
მე, ბედის მორჩილს...
— რა გინდა მაშინ,
ამ სამოთხეს თუ არ მოიხმარ,
თუ არ დაგება ერთად შენი
სისხლი და ხორცი?!
წინაპრის შენის,
სათნოების გჯეროდეს, გწამდეს!
იმავ რუსთველის,
იმ თამარის,
რწმენით მორწმუნის!
— გჭვრეტს შორით სვავი
და
ისწორებს დაკორტნილ ნაკრტენს,
სამხრით გზა არი ისპაჰანის
სისხლით მორწყული...
— აწ მაცხოვარიც არ იქნება
შენი დამხსნელი,
საკუთარ ძმაზე თუ იქნები
კვლავაც დიდგული!
ბეუტავს იმედი გადარჩენის,
უკანასკნელი.
ისე
ვით კოვზი ზიარების,
ტუჩზე მიდგმული...
სად ვარ?
ვისთან ვარ?
— მარტოობის დილეგში ვგდივარ!
ქსოვს აბლაბუდას
მოშრიალე ობობა ეჭვის...
რაც ხდება ირგვლივ
ჩამტვრეული ნეკნივით მტკივა,
გავყურებ ღამეს
და უცრემლო თვალები მეწვის...
— გამოვარდება, ვიცი, ისევ
ვინმე უშვერი,
ისევ დამიწყებს ტვინის ხედვნას.
ჭკუის რიგებას!
ვერა და ვერა,
მხოლოდ ღვარძლით ის ვერ უშველის
ვერც მთლიანობას,
ვერც შენდობას,
ვერც შერიგებას!..
გამიცვდა ეშვი,
ძველებურად ვერ ვიღრინები,
თუმც არ ვაპირებ ლიქნით დგომას
და თავის ქიცინს!
მძულდა სტრიქონი
გაქლენთილი ლანძღვა-გინებით
და კაციც მძულდა,
ვინც მეგობარს იცვლიდა ციმ-ციმ!
— დევს ხელისგულზე
გაყოფილი ცოდვა და მადლი!
ცამ კი სასწორი
ზოდიაქოს სხივით დაწრიტა..
— არა,
არ კმარა პირჯვრის წერა,
დანთება სანთლის
თუ არ გაგყვება სათნოება
გასულს ტაძრიდან!
აწ პირველობის კვერთხისათვის
შურით და დავით,
სხვასაც, მრავალსაც დააჩნდება
უგვანო დაღი!
...მაქვს აღერილი
ნაზამთრალი მგელივით თავი
და ყმუილს ჩემსას
იმეორებს ჩამქრალი ჭაღი...
გათავდა, მორჩა!
წამაფარა გრილი ზეწარი
ავმა სიბერემ,
მოქირქილე შურმა და მტრობამ...
— ღირდა?
— არ ღირდა?
„საკითხავი აი, ეს არი!“
მალე ჩემთვისაც დაარჩევენ
ბრინჯსა და ხორბალს!
— გათავდა,
მორჩა!
არც რა ვარსკვლავს აღარ ვენდობი.
მკვდარია გული
და აწ სითბოს არ მიიკარებს...
და
საფლავს ჩემსას
თუ დახედავს კაცი შემნდობი,
ვით მზეს ბალახი,
მოწყალებად მასაც ვიკმარებ!...

II

გარეთ ღამეა უამური,
წკმუტუნებს ძაღლი...
თვალებს გაქცეულს იქით-აქეთ
ჩააშრობს სევდა.
...და ეჩვენება გალილეა
საფეთქლებს დაღლილს
და აღგზნებული ტვინი სიზმარს
ხატავს და ხედავს:
— მდევენ ქენჯნანი სინდისისა
სადღეისონი,
ცოდვილთ ტაბლასთან ვზი ინახით.
ბედით, ორპირით,
და როგორც ცხადში
ისე ლუის ირგვლივ ბისონი,
ისე ილვრება
მეწამული ფერით პორფირი!
ვჭვრეტ ხილს და ხორაგს,
აქნილ საკლავს,
თრობას არეულს,
ვარ მიყრდნობილი
ოქრო-მქედით ნაქსოვ ბალიშებს...
— ვინ მაპატიებს მე ამ სიზმარს,
ამ შხამგარეულ,
ამ მარად ცოდვას
მე ვინ ამიხსნის, მე ვინ გამიშვებს?!
მადგას ჩვენება ბოროტეული
მამტვრევს, მამცივნებს
და მრუშ ღრეობას, ანტიპისას.
ვუვსებ სასმურებს.
როკაპ დედოფალს, ვით მოყვება.
თვალს ვერ ვაცილებ.
ნარდით ნაბანი ასი მონა-მოსამსახურე!..
— აქაც რომია!
მსტოვრის ტორით, ტიბერიუსის,
და გარყვნილება
ამ დარბაზსაც ავსებს პირამდე!
აქაც იბრუნებს დიდი ცოდვა
ქალურ სიმრუშით,
მანამდე, სანამ
დაიბანდეს ხელებს პილატე!
ართობს რომაელთ
და ღვინოში უყრის მარგალიტს,
— იგი, იროდი,
იუდეველთ სისხლის მწოველი!
ხოლო, ხაროში,
იორდანეს წყალში განბანილ,
ხმა მეორდება,
ნათლისმცემლის — ნათლისმთოველის!
აქ კი ყოველი
საზეიმოდ არის დიადი —
სამოსს ალმასი,
სურას ოქრო ღვინოში ფერავს..
თვალები მრუდი
აარიდა იროდიადას
და სალომეას ღია მკერდი
მოხვრიპა მზერამ!
ნათესავს მისას
სიძვით ელტვის კუთვნილი მამად,
გული მრუშია,
გონი მთვრალი, სურვილით მამრის!
ფარშევანგებად მორონინე მარაოს გამმას
მიაქვს და მოაქვს ნელსაცხებლით
სურნელი ამბრის...
არ მოეწონა ცენტურიონს
გემო ზედაშის —
გადააფურთხა,
მიამსხვრია კედელზე თასი!
...და ვითარ ჰქონდათ ნაბრძანები
შეთქმულ დედა-შვილს:
იხმეს სუფრასთან საკრავებით
მუსიკოსთ დასი!
როკავს სატანა —
სალომეა თეძოებს არხევს,
ცეკვავს სატანა —
მკვრივი მკერდი ვნებით მიმოდის,
და ღვარძლიანად ელრიცება
დედოფალს სახე,
და ტუჩს ილოკავს
ამღვრეული ღვინით იროდი!..
შეწყდა მუსიკა.
ავი რინდი მოედო ყოველს.
წამოდგა მეფე,
ზე ალმართა მსახვრალი მქლავი.
და ბრძანა: —
— ცეკვის საფასურად რაც გინდა მთხოვე!
იყო პასუხი: —
იოანეს მოჭრილი თავი!
...მოდგმავ ადამის!
გაჩენიდან შენს თავს ტიროდი.
სძლიე სატანას?
შეაჩვენე სული წყეული?
— თუ კვლავ ზეიმობს
იუდეველთ მეფე იროდი,
ოდეს თავდება სისხლიანი ათასწლეული?!

1991 წ. 27 სექტემბერი.



# X-ის დღე

## გივი ჩხიკვიშვილი

მოთმინების ფიალა პირამდე ავსებოდა და ამიტომაც ეჩვენებოდა, თითქოს აღარ იძროდა დრო. გაუთავებლად იწელებოდა წუთები, საათები, დღეები.

წინ კიდევ ორი თვე რჩებოდა. 61 დღე-ღამე. 1464 საათი. უფრო ზუსტად 87, 840 წუთი...

ახალი დღის დასაწყისს შეიარაღებული ხვდებოდა. იარაღი მისდაუნებურად უჩენდა ცდუნებას ბოლო მოეღო უსასრულო მოლოდინისათვის, არყოფნით დაესვა წერტილი არაადამიანური, აუტანელი ყოფისათვის.

„ღმერთო, გამაძლებინე!“ — აღმოხდა და გარშემო მიმოიხედა. თითქოსდა შერცხვა კიდეც წუთიერი სისუსტისა. მშობლიურ ზეცას მონატრებულმა უცხო ცისკენ აღაპყრო მზერა.

მკრთალად ბჟუტავდა რამდენიმე ვარსკვლავი ნაცრისფერი ცის კაბადონზე. დალეული მთვარე ხან გამოჩნდებოდა, ხან გაქრებოდა დაფლეთილი ღრუბლების ფონზე.

პროჟექტორის შუქმა დაახუჭინა თვალი. საგუშაგო კოშკიდან საბრძოლო მზადყოფნას ამოწმებდნენ. განათებულ ლობესთან ყოველ ხუთას მეტრში იდგა ჯარისკაცი. გაძლიერებული ყარაული იცავდა გარნიზონს.

ლობეს გაჰყვა. გვერდით საგუშაგოზე ავტომატმომარჯვებული „მცველი“ შეამჩნია. ლობეს არ აცილებდა დაძაბულ სახეს. „რისი ეშინია ნეტა?“ — ამ კითხვამ ირონიული ღიმილი მოჰგვარა.

პატარა ქალაქი საავიაციო, სატანკო, საარტილერიო და სარაკეტო ნაწილებით იყო გარშემორტყმული. ერთ მშვიდობიან მცხოვრებზე დაახლოებით სამი სამხედრო მოდიოდა.

ხალამოობით ქალაქის დაცარიელებულ ქუჩებში გაძლიერებული პატრული დაძრწოდა. ლუდხანებისა და ბარების სიმრავლე მაცდუნებლად მოქმედებდა სამხედრო პერსონალზე.

მრავალგზის გამხდარა გალეშილი ოფიცრების „დაშოშმინების“ უტყვი მოწმე და თანამონაწილე, მაგრამ მთვრალი გერმანელისათვის იშვიათად მოუკრავს თვალი. შრომისმოყვარე, პატიოსანი და წესრიგის მოყვარული ხალხი ცხოვრობდა პატარა ქალაქში.

აქ მას არავინ ელოდა და არც არავის ეხატებოდა გულზე. გამკიცხავ, ზიზღით სავსე მზერასაც არაერთგზის წაწყდომია. რამდენჯერმე გააგონეს კიდეც: „რუსიშეს შვაინ!“

...ველარ მოითმინა ერთხელ და „შეურაცხმყოფელებს“ გამოეკიდა. 14-ოდე წლის ბიჭს დაეწია. საყელოში წვდა უხეშად, მაღლა ააწევინა თავი და თვალებში შეხედა. შიშისგან გაფითრებულის თვალებში ისეთი რამ ამოიკითხა, რამაც ხელი გააშვებინა.

პირდაპირ მდგომს ბრაზმა გაუარა. დამნაშავედაც კი იგრძნო თავი. ეცადა აეხსნა, რომ რუსი არ იყო. ბევრი რამის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერი გააგებინა...

ძლევამოსილ საბჭოთა არმიაზე ფაშისტების შურისძიების დღის შესახებ ბევრს ლაპარაკობდნენ. ის მაინც ვერ გაიგო, შურის საძიებლად რაღა მაინცდამაინც ერთი დღე აირჩიეს გერმანელებმა. ესეც მათი პუნქტუალური ხასიათით და წესრიგის სიყვარულით იყო განპირობებული?

იგავის ელფერი დაკრავდა X-ის დღეს დატრიალებული მკვლელობებისა და ვანდალიზმის შემაძრწუნებელ ისტორიებს. უფრო საბრძოლო მზადყოფნის მიზანს ისახავდნენ.

— ამხანაგო! — შეეხმიანა გუშაგი.

ხმაზე ეტყობოდა, მოარულ ისტორიებს უკვალოდ არ ჩაევლო. გუშაგის შეცბუნებულ სახეს დააკვირდა. გამობერილი, ღაჟღაჟა ლოყებით, წვრილი თვალებით, დრუნჩის მაგვარი ცხვირით და ყეყეჩური გამომეტყველებით მიამსგავსა ძველ ნაცნობებს.

— მოხდა რამე?

— ლობის იქით ფაჩუნი და ჩურჩული შემოესმა.

— ფაჩუნი თუ ჩურჩული?

— ორივე ერთად! — ირონიას ვერ მიუხვდა.

— მოო, შიშს დიდი თვალები აქვს.

— არა, ნამდვილად გავიგონე, მგონი თავდასხმას გვიწყობენ...

შიში ალაპარაკებდა.

— გული არ გაიტეხო, აქვე ვარ!

შეტრიალდა. „დამცველის“ გასიებული, გა[illegible] „სიფათი“ უსიამოვნო მოგონებებს ბადებდა.

ზემდეგი გაახსენა. იმ „ზემდგომსაც“ მიამსგავსა, რომელიც მთელ იმპერიას განაგებდა...

●

...საღამო ჟამს ზემდეგი შეზარხოშებული ცხადდებოდა ყაზარმაში. იმჯერად, ეტყობა, ზომაზე მეტი მოუვიდა და „ლენინის ოთახში“ დაადგა თავზე. შარის მოსადებად საბაბი რომ ვერ იპოვა, ქართველების გინებას მოჰყვა.

შორიდან დაიწყო, ჯერ სტალინი და ბერია გაიხსენა, მერე ციტრუსებზე გადავიდა.

— შენ რა ფასად ყიდი მანდარინს? — ჩააცივდა.

— ცხოვრებაში არაფერი გამიყიდია.

— აბა, ატესტატი როგორ იყიდე? სახლში რომ დაბრუნდები, დიპლომსაც გიყიდის მამიკო!

მამის ხსენება ველარ მოითმინა.

— განათლება და ცოდნა არ იყიდება, ამხანაგო ზემდეგო!

ზემდეგს რვა კლასი ჰქონდა დამთავრებული და ნათქვამი შეურაცხყოფად მიიღო.

— თქვენ ყველაფერს ყიდით, სინდის-ნამუსს და სამშობლოსაც კი! — წამოიძახა გაცოფებულმა.

— სამშობლო არ გაგვიყიდია! — ყელში მოაწვა ბოლმა.

— სარფიან ადგილს და თბილ ცხოვრებას ყველაფერს ანაცვალებთ!

წამოდგა. სახლში გასაგზავნ წერილს გულს ველარ დაუდებდა. ნერვების მოთოკვა და გაცლა ამჯობინა.

— სდექ! მე არ გამიშვიხარ!

— გისმენთ!

— საყელო შეიკარი, როცა უფროსს ელაპარაკები!

შეიკრა.. ზემდეგმა ოთახში შეკრებილებზე გადაიტანა მზერა.

— სწორდი!

გასწორდა. უფრო ზუსტად გაიჭიმა და იგრძნო, რომ წონასწორობას ჰკარგავდა.

ჯარისკაცების ღიმილით გალაღებული ზემდეგი ლაზღანდარობის ხასიათზე დადგა.

— დაწექი!

— რა ბრძანეთ?

— დაწექი!

— აქ სამისო ადგილი არ არის. — ამის თქმაღა მოახერხა.

— ჭკუას ვის ასწავლი! შეასრულე ბრძანება!

არ განძრეულა. იგრძნო მხოლოდ, როგორ მოაწვა სისხლი სახეში. სეირის მაყურებლებით გაივსო „ლენინის ოთახი“.

ცოტა მოერია ზემდეგს. ჯარისკაცების თანდასწრებით ბრძანების შეუსრულებლობამ წონასწორობა დააკარგვინა.

— განანებ, იცოდე, შე...

— არ დაწყნარდები!?

— ბრძანება შეასრულე, შენ!..

გინება აღარ დააცადა. თვითონაც არ ახსოვს, როგორ გააკრა ზემდეგი კედელზე და ყელში წვდა.

ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან ჯარისკაცებმა მოჩვარული და ნირწამხდარი „მბრძანებელი“.

ხუთიოდე წუთში მორიგე ოფიცერი შემოვარდა „ლენინის ოთახში“. არც გარკვეულა საქმის ვითარებაში, ისე დააძრო პისტოლეტი და ბრძანა: „დააპატიმრეთ!“. ჯარისკაცებმა ზურგსუკან გადაუგრიხეს ხელები.

გულმოცემულმა ზემდეგმა ამით ისარგებლა და მუშტები დაუშინა. სახეს ახვედრებდა დაუნდობელ დარტყმებს. გონსმოსული უკვე ვარაუდობდა, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დისციპლინარულ ბატალიონს ვერ გადაურჩებოდა.

სისხლი მოსდიოდა თქრიალით ცხვირიდან, ტუჩებიდან...

— მაინც არაფერი გიშველის! — მიუხვდა ოფიცერი და, როგორც იქნა, დააშოშმინა ზემდეგი.

იმ ღამეს კედელზე მიყრდნობის საშუალებაც არ მისცეს იარაღშემართულმა გუშაგებმა, ყოველ ორ საათში რომ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

დილით პოლკის მეთაურის წინაშე წარადგინეს.

— ტრიბუნალი მოგინდა!? — უღრიალა პოლკოვნიკმა.

— შევცდი ამხანაგო პოლკოვნიკო!

— როგორ გაბედე!

— მეგონა, რომ „ლენინის ოთახი“ პოლიტიკური განათლებისა და კულტურული დასვენებისთვისაა გამოყოფილი.

— რას მიედ-მოედები?

— ერთხელ იმისთვის დავისაჯე, რომ იმ ოთახში საყელოზე თეთრ ნაჭერს ვაკერებდი; მეორედ კი იმიტომ, რომ სპორტული ფორმით გავბედე შესვლა.

— სწორედ დაუსჯიხართ!

— თუ ასეა, მაშინ სამწყობრო მომზადებისთვისაც შეუფერებელი ადგილია.

— რას მიჰქარავ, თუ იცი?!

— „ლენინის ოთახში“ მთვრალი ზემდეგის ბრძანების შესრულება ჩემი მხრიდან პოლიტიკურადაც გაუმართლებელი იქნებოდა, ამხანაგო პოლკოვნიკო!

— რა გიბრძანათ ასეთი!

— დაწოლა მიბრძანა!

პოლკოვნიკი შეცბა.

— პოლიტიკურ მომზადებაში ფრიადს იმსახურებთ, მაგრამ ჯარისკაცმა ბრძანება ჯერ უნდა შეასრულოს და მხოლოდ ამის შემდეგ გაასაჩივროს!

მრისხანებამ გადაუარა. ყურადღებით დააკვირდა და თითქოს ღიმილმაც კი გაუელვა სახეზე.

— პროგრამა მაქსიმუმში და მინიმუმში რომელმა ყრილობამ მიიღო?

— მეორე ყრილობამ.

— ხუთი ორზე გაამრავლე. ათი დღით ჰაუპტვახტს გიცხადებ!

— მინიმალური სასჯელით გადარჩი, ბედი გქონია!—თითქმის მიულოცეს ჯარისკაცებმა...

●

...„ეჰ, მართლა რომ ჰქონოდა ბედი!“... საათზე დაიხედა. ოცი წუთი იყო გასული. ყურთან მიიტანა. მწყობრად, რიტმულად მუშაობდა მექანიზმი.

ყოველ გასულ წუთს შეჰხაროდა. დროის შეუქცევადი წინსვლით სულდგმულობდა. ოდესმე ხომ ამოიწურებოდა ეს აურაცხელი წამებით და გაწელილი წუთებით აღსავსე სამი წელი?

„იმდენი გადავიტანე, რომ ახლა არ უნდა მიჭირდეს!“ — საკუთარი თავის გამხნევება სცადა.

...ცემენტით სავსე ვაგონებს აცლევინებდნენ. თავაუღებლად იქნევდა ნიჩაბს და ცემენტის მტვრისგან სუნთქვა ეკვროდა. მხარ-თეძოზე წამოწოლილი „ძველი ბიჭი“ ყეყეჩური ღიმილით უქებდა შრომით შემართებას.

მისი გადასიებული, ღაჟღაჟა სახე აღიზიანებდა. მაგიდის თავში წამოსკუპებული ანაწილებდა საზრდოს. ხორცის ნაჭრებს საკუთარ თეფშზე ალაგებდა. ორიოდ ნაჭერს პირისპირ მჯდომ მოლუშულ „ძმაკაცს“ უწილადებდა და დანარჩენებს მოწყალე სახით უსხამდა წყალწყალა „სუპს“.

რვანი ისხდნენ მაგიდასთან, მაგრამ ხმას არავინ იღებდა. პირველ წელს „იხდიდნენ“ და „ძველის პრივილეგია“ ხელშეუხებელ კანონად მიაჩნდათ. ველარ გაუძლო ხმაურიან თქვლეფას.

— ხორცი ყველას თანაბრად გაუნაწილე!

— ძალაუნებურად წამოცდა.

— რაღაც შემომესმა? — ისე იკითხა, რომ ყბები არ გაუჩერებია.

— ისიც გვეყოფა, რომ შენს მაგივრად გვიწევს მუშაობა.

— ეტყობა ვიღაცას თავი მობეზრდა! — როგორც იქნა, თქვლეფა შეაჩერა და მრისხანედ მოავლო თვალი მაგიდას.

ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოვარდა. „ძველმა“ ხორცის ნაჭერი გადმოიღო თეფშზე, წყალწყალა წვენი დაამატა, შიგ ჩააფურთხა და გვერდით დაიდგა.

— ვისაც დამატება უნდა, მოვიდეს და აიღოს!

მეტის ატანა აღარ შეეძლო. წამოდგა.

— ეგ თავად მიირთვი და რაც გითხარი, ის გააკეთე!

— შენ, ბიჭო, სად გგონია თავი? ან ვინა ხარ, შენი...

მრავალსართულიანი ბილწსიტყვაობა აღარ დააცალა. წყალწყალა „სუპით“ ნახევრად სავსე ქვაბი თავზე ჩამოამხო.

დიდებული სანახავი იყო გალუმპული „ლორი“. მოღუშულსახიანმა მუშტი მოუქნია. აიცილა და საპასუხო დარტყმით კედელს მიანარცხა.

— მოგკლავ, შენი!.. — დანამ გაიელვა „ძველის“ ხელში.

სკამს დაავლო ხელი. უკან დაიხია შეშინებულმა მეტოქემ და დაძაბული სიჩუმე გამეფდა.

კარის ჭრიალზე დანა მისკენ გადმოაგდო „ძველმა“. საკანში შეიარაღებული მცველები შემოიჭრნენ.

— რა მოხდა? — მკაცრად იკითხა უფროსმა სერჟანტმა.

— ჯერ „სუპი“ შემასხა, ახლა სკამით მემუქრება.

— გამოეთრიე! — უბრძანა უფროსმა სერჟანტმა.

ხელისკვრით გამოაგდეს საკნიდან. ჰაუპტვახტის უფროსმა, ბრგე აღნაგობის კაპიტანმა ცერად შეათვალიერა.

— შენ რა, დაეჩვიე რუსების ცემას?

— უმიზეზოდ არავისთან მიჩხუბია.

— უყურეთ ამას, ჩხუბის თავი კი გაქვს?!

კაპიტანი მიუახლოვდა და მოულოდნელად დაარტყა. მოწყვეტით დაეცა. თავი დაარტყა ფილაქანს და ასადგომად წამოწეულმა ბუნდოვნად გაარჩია გაღიმებული სახეები.

ბარბაცით წამოდგა ფეხზე. კაპიტანმა გაოცებული მზერა მიაპყრო.

— სერჟანტო, ახლა თქვენი ჯერია! — გაწბილება დაეტყო ხმაში კაპიტანს.

ამჯერად ელოდა დარტყმას და კედლისკენ დაიხია.

სერჟანტი სწრაფად მიუახლოვდა, მძლავრად მოიქნია მკლავი და მოულოდნელი ტკივილისგან გმინვა აღმოხდა.

ეტყობა, არ ელოდა გადახრას თუ მოახერხებდა პატიმარი, მუშტი კედელს მოხვდა.

— თქვენში რომელია ყველაზე ძლიერი! — კაპიტანმა დანარჩენებს გახედა.

— უხ, შენი!.. — მარცხენა ხელი შემართა სერჟანტმა.

— შენმა ჯერმა უკვე ჩაიარა! — დაუყვირა უფროსმა.

ეფრეიტორის დარტყმა თითქმის აიცილა. ყბაში გამიზნულ მუშტს ბეჭი დაუხვედრა. შებარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა.

— კიდევ ვინ ცდის ძალას!

მსურველი აღარ გამოჩნდა.

— რას გავს ეს. რას უნდა ველოდე თქვენგან! — აღრიალდა უფროსი.

იმავე წამს გაიჭიმნენ ჯარისკაცები. ერთგული ძაღლების გულმოდგინებით მიაჩერდნენ პატრონს.

— გაღორდით? ნაწილებში გიკრავთ ყველას თავს! ჭამა-სმის გარდა არაფერზე ვარგიხართ!

ერთბაშად დაიძრნენ მძვინვარე სახეებით და შემართული მუშტებით.

— სდექ! ხუთნი ერთზე მაგრები ხართ!

კაპიტნის დარტყმა საუკეთესოდ რჩებოდა, რადგან მხოლოდ მან დასცა პატიმარი. შეიძლება ამიტომაც აღარ ისურვა სეირის გაგრძელება.

— როგორ მუშაობს? — გადახედა უფროს სერჟანტს.

— ისე, რა... — ამოღერღა სერჟანტმა და გახეთქილ მუშტზე შემოხვეული ცხვირსახოცი შეისწორა.

— კურორტზე გგონიათ თავი? ფიქრობთ, რომ რამეს გამომაპარებთ? კარგად ვიცი, ვინ რისი გამკეთებელია! — აღრიალდა ჰაუპტვახტის უფროსი.

—მუშაობის მხრივ პრეტენზიები არა გვაქვს!

— გაიჯგიმა სერჟანტი.

— ხვალ ექვსი ვაგონი ცემენტი გვაქვს დასაცლელი! მუშახელი გვჭირდება! ეს გაიყვანეთ და ის გასიებული მუქთახორა შემოიყვანეთ!

ორიოდ წუთში დასაკლავად გამეტებული ღორის ყურისწამღები ჭყვიტინის მსგავსი ბგერები მოედო საკანს. ღაჟღაჟასახიანს „ამუშავებდნენ“...

●

...ცივ კონდახს მოუჭირა თითები. ყველას ვერ გაუსწორდებოდა. ვერც გამოასწორებდა რამეს. მხოლოდ საკუთარი არაადამიანური არსებობისთვის შეეძლო მოეღო ბოლო.

ამის უფლებაც არ ჰქონდა, რადგან ელოდნენ. ელოდა დედა, მამა, და ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები. მათი მოლოდინის ახდენა მართებდა. ყველაფრისთვის უნდა გაეძლო მათი სიყვარულისა და პატივისცემის გამო.

ყოველ დილით 6 საათზე უნდა წამომხტარიყო. ნახევარ წუთში მწყობრში გაჭიმულიყო, მწყობრში ერბინა, მწყობრში ევლო წინ და უკან სიმღერით.

არავის აინტერესებდა, იყო თუ არა სიმღერის ხასიათზე. ნებისმიერ ბრძანებას უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა. რობოტივით დამჯერე ყოფილიყო.

„დაპროგრამებული“ ყაზარმაში გამეფებულ დაცინვის, აბუჩად აგდების, უკიდურესი ცინიზმის, სისასტიკის ატმოსფეროსაც უნდა შერიგებოდა.

...გრძელ ოთახში საწოლები კვადრატულად იყო განლაგებული, პირველ „იარუსზე“ ორი „ძველი“, მეორეზე კი ორი „ახალბედა“ იწვა. ღამით სულს უხუთავდა ფეხსაცმლების აშმორებული სუნი, დღისით კი „ძველების“ თავხედური საქციელი და ბილწსიტყვაობა.

თუმცა რამდენჯერმე უბრძანეს, მაგრამ სხვისი საწოლის გასწორება არც უფიქრია. სამაგიეროდ, საკუთარი ლოგინის გასწორების საშუალებას არ აძლევდნენ.

„ძველები“ აუჩქარებლად, ფრუტუნით იბანდნენ პირს და მას კი წყლის ონკანთანაც არ უშვებდნენ.

დილის „ტუალეტს“ ვერ ასწრებდა და ზემდეგიც გულუხვად ურიგებდა სასჯელს. ღამით არეცხინებდა საპირფარეშოს. დერეფანს, შაბათ-კვირას კი სამზარეულოში აგზავნიდა სამორიგეოდ.

ორთქლით და ოხშივრით სავსე სამრეცხაოში, ცხელი წყლით ხელებდათუთქული, ოფლად იღვრებოდა ათასობით ფაფამიმხმარი თეფშის რეცხვით. ჰუჟუ და სიბინძურე გულს ურევდა. ჯარისკაცული ულუფის მზადების მოწმეს, მეორე დღესაც კი უჭირდა ლუკმის გადაყლაპვა...

სისასტიკე და დაუნდობლობა არ უკვირდა. მთელი ჯარისკაცული ცხოვრება სწორედ ამ თვისებების გაღვივებას უწყობდა ხელს.

დაგროვილი ბოღმა გამოსავალს პოულობდა. [illegible] ჯავრის ამოყრის შესაძლებლობით სარგებლობდა.

ულმობელი ატმოსფერო მეფობდა ირგვლივ. პატიმრებიც კი უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე „სამშობლოს დამცველნი“.

მსჯავრდებულებს ახლობლებთან შეხვედრის და ამანათის მიღების უფლება მაინც შემორჩენოდათ. ჯარისკაცები ამ უფლებითაც ვერ სარგებლობდნენ, რადგან საზღვარგარეთ მსახურობდნენ.

ყოველი მხრიდან შემოღობილი, საგულდაგულოდ დაცული გარნიზონი უფრო გარე სამყაროს მოწყვეტილ საკონცენტრაციო ბანაკს წააგავდა.

ქალის დანახვაზე კისერი ეღრიცებოდათ ბიჭებს. პოტენციის დასაქვეითებელი ნემსებიც ვერ ძლევდა დაგუბებულ სურვილს.

ფიზიკურ ტკივილს უძლებდა, მაგრამ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის დაოკება უჭირდა. დედის გინება ვერ შეარჩინა „ძველს“. ეზოში გაიწვიეს მამაკაცური ანგარიშის გასასწორებლად.

წრეში მოქცეული ვერც არკვევდა, ვინ და საიდან ურტყამდა. წაქცეულს წიხლები მოაყოლეს და შეძახილზე: „რას შვრებით“ გაიქცნენ.

ძლივს წამოდგა. ონკანთან მილასლასდა და წყალს მიუშვირა გასისხლიანებული სახე.

— გაგლახეს? — შემოესმა გოგონას ხმა.

გაბრუებულმა ძლივს გაარჩია, რომ იქვე, ახლოს ჯარისკაცების ფარული ოცნება იდგა. შტაბის მეთაურის გრძელნაწნავიანი, ცისფერთვალება ქალიშვილი დაკვირვებით მისჩერებოდა.

— ჰო, ვითომ გამლახეს. — ძლივს ამოღერღა.

— ვითომ კი არა, კარგა გვარიანად!

— მერე, თქვენ გიხარიათ? — ტუჩზე მომდგარი სისხლი მოიწმინდა.

— რატომ უნდა მიხაროდეს? — შეცბა გოგონა.

— რა ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ ქართველი ვარ!

— რა სისულელეა!

გოგონამ ჩანთა გახსნა. პატარა სარკე და ცხვირსახოცი გაუწოდა. სარკე გამართვა და ჩაიხედა.

— სწორი ბრძანეთ, კარგა ლაზათიანად...

— თქვენ კიდევ ხუმრობის ხასიათზე ხართ?

— რაღა დამრჩენია.

— მამაჩემს ვეტყვი!

— ნუ შეწუხდებით, მამაკაცურ ანგარიშს თავად გავასწორებ.

— ათნი ერთზე სადაური ანგარიშია?

— რას იზამ, აქ ასეთი ანგარიშით ხელმძღვანელობენ.

— ცხვირსახოცი გამომართვით!

— გმადლობთ, არ დაგისვრით...

იგრძნო, როგორ წითლდებოდა თანდათან. ონკანთან დაიხარა და წყალი შეისხა სახეზე.

რამდენი ხანია ქალს არ დალაპარაკებია! თვალს არ აცილებდა გოგონა. საბოლოოდ დაიბნა, მკლავებქვეშ ამოჩრილ წიგნებზე გადაიტანა მზერა.

— ბალზაკს კითხულობთ? — ძლივს ამოიბლუყუნა.

— თქვენ რა, წაკითხული გაქვთ? — რაღაცნაირად გამომწვევად გაუღიმა გოგომ.

— წარმოიდგინეთ, ჰო! სტენდალიც, მოპასანიც, მიუგოც და კამიუც კი! — გაღიზიანებამ მეტყველების უნარი დაუბრუნა.

— რატომ მიბრაზდებით!

— ჯარისკაცად არ დავბადებულვარ, ერთ დროს ადამიანიც ვიყავი! — აღმოხდა მისდაუნებურად.

— მაგაში ვინმეს ეჭვი ეპარება?

— ბევრს ეპარება...

— რა გქვიათ?

— რა ბრძანეთ?

— ბრძანება რა შუაშია? მე ნატაშას მეძახიან, თქვენ?

— მე მხოლოდ გვარს მეკითხებიან. ისე გიორგი მქვია.

მართლაც, რა ხანია სახელი არავის უკითხავს მისთვის. გოგონას გახედა და თბილმა, სათუთმა ჟრუანტელმა დაუარა ტანში.

— წავალ.... — ამის თქმაღა მოახერხა.

— ხვალ განახავთ! — წაიჩურჩულა გოგონამ და ყაზარმამდე მიაცილა.

მეორე დღეს მოვიდა და თითქოს სინათლის სხივი მოჰყვა თან. წასვლას არ ჩქარობდა. ისე შეჰხაროდნენ ერთმანეთს, რომ ვერ შეამჩნიეს შტაბის უფროსი ორ ოფიცერთან ერთად.

— წადი სახლში! — უყვირა მამამ ქალიშვილს.

ნატაშა შეტრიალდა და ხმისამოუღებლად წავიდა.

— შენ როგორ გაბედე?! — ახლა ჯარისკაცს უღრიალა პოდპოლკოვნიკმა.

— რა გავბედე?

— ჩემს ქალიშვილს როგორ გამოელაპარაკე?

— დალაპარაკების უფლება არ მქონდა?

— რა გაქვს მასთან სალაპარაკო?

— ლიტერატურაზე ვსაუბრობდით.

— მაგარი შებერტყილი ჩანს! — აღნიშნა ერთმა ოფიცერმა.

— გაბერტყვას იმსახურებს! — დაუმატა მეორემ.

ახლაღა შეამჩნია, რომ სამივენი შეზარხოშებულნი იყვნენ.

მაღალი, ჩაფსკვნილი ოფიცერი მიუახლოვდა და მოულოდნელად დაარტყა ყბაში. შებარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა.

მეორე ოფიცერმა მუცელში ჩააზილა წიხლი, სუნთქვა შეეკრა, მაგრამ მაინც გასწორდა წელში.

— ჩემს ქალიშვილს სათოფეზე აუარე გვერდი, ხომ ხედავ, ქარი უქრის თავში!.. — ურჩია შტაბის უფროსმა.

— ცუდი აზრის ბრძანდებით საკუთარ ქალიშვილზე.

— შენ რაც გიბრძანეს, ის გააკეთე, თორემ ცემას არ გაკმარებ და ქარს გაგატან დისციპლინარულ ბატალიონში! გასაგებია თუ არა?

— ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო!

ოფიცრები აქეთ-იქიდან ამოუდგნენ და ხელები ამოუტრიალეს.

— დანარჩენს ჩვენ ავუხსნით! — დაამშვიდეს უფროსი.

პოდპოლკოვნიკი გატრიალდა და სწრაფად გაეცალა იქაურობას. ოფიცრებმა სპორტული მოედნისკენ წაათრიეს.

„ცემას მიჩვეულია, „საქანელა“ მოვუწყოთ!“ — გაეღიმა მაღალს.

თოკი მოუჭირეს ხელებზე და ფეხებზე. ორ ძელს შორის გააბეს. შეასხდნენ ზედ და იმდენ ხანს ქანაობდნენ ხორხოცით, სანამ გონება არ დაკარგა.

„გონსმოსული“ თვალს არიდებდა ნატაშას, რომელიც ჯიუტად ცდილობდა მასთან შეხვედრას.

— მხდალი ყოფილხარ! — წინ გადაუდგა გოგონა.

— არა ნატაშა, შენთან შეხვედრაზე უარის თქმაა სიმამაცე, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ — ესღა უთხრა თავჩაქინდრულმა.

ერთადერთი ნათელი სხივიც გაქრა...

პროჟექტორის სხივმა გაანათა ღამის წყვდიადი. საათზე დაიხედა. საათნახევარი გასულიყო. ოცდაათ წუთში შეიცვლებოდა. წინ კი 1462 საათი და 30 წუთი რჩებოდა.

ყველა ვერ უძლებდა სასტიკ გამოცდას. სუსტი აღნაგობის, ზრდილობიანი „დედიკოს ბიჭის“ სასოწარკვეთილი, დაუცველი სახე წარმოუდგა თვალწინ.

მხარში ვერ ამოუდგა, ვერ დაიცვა, ადამიანური სითბო ვერ აგრძნობინა. თბილი სიტყვაც კი ვერ გაიღო ყველასგან დაჩაგრულისა და გამეტებულისათვის.

უშველიდა კი რამეს? ანდა, რა შეეძლო, თავადაც ყოველმხრივ შევიწროებულსა და გამეტებულს?

ყოველ ნაბიჯზე დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ ბეჩავს. იმდენი უქნეს, რომ საბოლოოდ გამოათაყვანეს, მწყობრში ჩადგომასაც ვერ ახერხებდა, რითაც ჯარისკაცების ხორხოცს და ზემდეგის მორიგ სასჯელს იმსახურებდა...

...პოლკის მეთაურის თანდასწრებითაც დაავიწყდა და დაბნეული სახით სთხოვა ზემდეგს მწყობრში ჩადგომის უფლება. სახე ეცვალა პოლკოვნიკს.

— თვალში გეპატარავები, არ იცი, ვის უნდა მიმართო! — უღრიალა ჯარისკაცს.

ფერი წაუვიდა ზემდეგს. ჯარისკაცები სიცილს ვერ იკავებდნენ. საერთო მხიარულებამ კიდევ უფრო გააბრაზა მეთაური.

— ბალაგანი მომიწყეთ? მე თქვენ გასწავლით დისციპლინას! — აღრიალდა გაცოფებული.

მხიარულება წამსვე გაქრა. სახეები დაეძაბათ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს.

— შენისთანები დაიცავენ სამშობლოს? გვარი? — მრისხანედ მიმართა დაგვიანებულს.

— კასუმოვ — ძლივს ამოილუღლუღა გაფითრებულმა.

პოლკოვნიკი დაჟინებული ყურადღებით მიაჩერდა სასჯელის მოლოდინში აკანკალებულ ჯარისკაცს.

— საბრძოლოს ვინ ჩივის, სამწყობრო მომზადებისთვისაც არ გამოდგება! — გამკიცხავად განუცხადა ოფიცრებს.

წუთით ჩაფიქრდა.

— გარნიზონის ღორების მომვლელად გადაიყვანეთ!

კასუმოვის ახალმა „მოვალეობამ“ გაამხიარულა გარნიზონი. მახვილგონივრულად მიიჩნიეს პოლკოვნიკის ბრძანება. ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ უფასო „კომედიაზე“ აჰყვიტინებული ღორებისა და სახედამანჭული „მუსულმანის“ მონაწილეობით.

ამ „სპექტაკლის“ დამსწრეთაგან არავის მოსვლია აზრად, რომ „კომედია“ მალე შემზარავ ტრაგედიაში გადაიზრდებოდა.

X-ის დღეს პოლკოვნიკის 8 წლის გოგონა გაქრა. გადაქექეს გარნიზონის ყველა კუთხე-კუნჭული, მაგრამ ვერსად იპოვეს. ცალი ფეხსაცმელი აღმოაჩინეს მხოლოდ ღობის იქით.

გერმანელებს დაბრალდა ბავშვების გატაცება. თამაშის დროს ღობეში გაძვრა და იქ იგდეს ხელთ ფაშისტებმაო — გავრცელდა ვერსია.

პატარა ქალაქსა და მეზობელ სოფლებში გაგრძელდა ძებნა. ეს უფრო თარეშს გავდა, რადგან გაღიზიანებული ოფიცრები და ჯარისკაცები არავის ერიდებოდნენ.

სიტუაცია ადგილობრივ მოსახლეობასა და სამხედროებს შორის თანდათან იძაბებოდა. უმიზეზო ჩხრეკითა და თვალთვალით გამოწვეული დაბნეულობა საყოველთაო აღშფოთებით იცვლებოდა. „ფაშისტების“ მიმართ შურისძიების გრძნობაც სულ უფრო ძნელი მოსათოკი ხდებოდა.

ამ ხნის მანძილზე კასუმოვი არავის გახსენებია. ღორების გულისწამღებ ჭყვიტინზე მიაკითხეს და თოკზე ჩამოკიდებული იპოვეს.

●

„სასხლეტს დავჭერ ხელს და წამში მოეღება ბოლო გაუთავებელ წამებას. დასრულდება არაადამიანური, აუტანელი არსებობა“.

ამის უფლებაც არ ჰქონდა. ბოლომდე უნდა მოეხადა ვალი. ვის წინაშე და რატომ? ამ კითხვას ვერაფრით დააღწია თავი. ცდილობდა არ ეფიქრა ამაზე, რადგან ორწლიან ტანჯვას უაზრო, კომიკური აბსურდი ედო საფუძვლად. ოკუპანტი იყო თავად ოკუპირებული და მრავალტანჯული ქვეყნის შვილი.

ახალბედა, ხათრიანი „დედიკოს ბიჭის“ სახე წარმოუდგა თვალწინ. ახლა უკვე შეეძლო გამოქომაგება.

ჩვენ რა დავაშავეთ, განა უკეთესად გვექცეოდნენ? — ბოღმას ვერ ერეოდნენ გაბოროტებული „ძველები“.

მათგან მაინც უნდა დაეცვა ბეჩავი, რომ შარშანდელი ცოდვისგან განწმენდილიყო.

ისიც იცოდა, რომ ნამდვილი ვალი გადაუხდელი ჰქონდა. კაცური მოვალეობა მშობლებისა და სამშობლოს წინაშე ჯერ კიდევ არ მოეხადა.

ამიტომ უნდა გაეძლო ბოლომდე. კიდევ 1462 საათი და 9 წუთი...

ქვამ სულ ახლოს ჩაიზუზუნა. ლობეს გახედა. „შვაინ!“ — შემოესმა თითქმის ჩურჩულით, გაუბედავად ნათქვამი. ბავშვის ხმას გავდა.

„ახლა სახლში მოუსვით!“ — უნდოდა ეყვირა, მაგრამ იმდენი გერმანული არ იცოდა.

„ნაჰაუზ!“ — დაიძახა და მეზობელი საგუშაგოსკენ გაექცა მზერა.

ავტომატმომარჯვებული მცველი ლობეს არ აცილებდა თვალს. ავისმომასწავებელი წინათგრძნობა დაეუფლა.

— არ ისროლო! — შორიდან დაუძახა.

— ხომ გითხარი! — მღელვარება ეტყობოდა ხმაში ძველს.

— ნუ გეშინია, მოვდივარ!

პროჟექტორმა თვალისმომჭრელად გააშუქა ლობეზე ქვის სასროლად აღმართული ბიჭი.

„მცველს“ ჩახმახზე ედო თითი.

დაასწრო. ხელი აუკრა ავტომატზე.

სროლის ექო მოეფინა გარემოს. ლობეს იქით ზღართანის ხმა გაისმა.

— რას შვრები, შე შობელძაღლო! — აღმოხდა თავისდაუნებურად.

— აბა, დაველოდო, სანამ თვითონ მესვრიან?

— ვის ესვრი, ბავშვებს?

— ფაშისტებს!

სახეღაჟღაჟა ახლა ლობის ძირს უმიზნებდა. თხელი ფიცარი ტყვიას ვერ შეიკავებდა...

ძალუმად შემართული მუშტი ველარ მოთოკა და ყბაში შემოსცხო. გუშაგი წაიქცა.

ბავშვი მოკლა! — გაუელვა წამით და ლობესთან მიიჭრა. კონდახის დარტყმით ჩამოიღო ფიცარი და გაძვრა.

ბიჭი ლობის ძირში ეგდო. მისი ამხანაგი ლაწალუწით გარბოდა ბუჩქებში.

დაიხარა. ბავშვის შეშინებულ სახეს წააწყდა და შვებით ამოისუნთქა.

— გადარჩი შე მაიმუნო? — დაუყვავა.

ფეხზე წამოაყენა, მთელი სხეულით აკანკალებულს თავზე გადაუსვა ხელი. გამამხნევებლად გაუღიმა და სათუთად უბიძგა ხელი.

ბიჭი ადგილიდან არ იძვროდა, შეძრწუნებული იხედებოდა ლობისკენ. უკან მოიხედა და ლობის ჭრილში შემართული ავტომატი შეამჩნია.

— აბა, ახლა მოუსვი, სანამ დროა! — ამის თქმაღა მოასწრო.

სროლის ხმაზე რამდენჯერმე შებარბაცდა. ბავშვის გაფითრებულ სახეს შეავლო თვალი და წინ გადაეფარა.

— გაიქეცი! ახლა კი მოურიდებლად, თითქმის უხეშად ჰკრა ხელი.

ბიჭი თვალს არ აცილებდა, ისე იხევდა უკან, მერე შეტრიალდა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

„მომკლა ამ ღორმა?“ — ჩაეძია საკუთარ თავს, ფეხები მოეკვეთა და გულაღმა დაეცა.

ნაცრისფერი ცის კაბადონზე მხოლოდ დაფლეთილი ღრუბლები გაარჩია. ისინი თითქოს დასარბევად მისდევდნენ ერთმანეთს!

ბურანში წასულს შემოესმა განგაშის სიგნალი. ჯარისკაცები ხელფეხში ჩააფრინდნენ და სასწრაფოდ გადაათრიეს ლობის იქით. ყრუ ტკივილისგან გმინვა აღმოხდა და გონს მოეგო.

საათზე უნდა დაეხედა, მაგრამ განძრევის თავი აღარ ჰქონდა. ავტომატიანმა აჩრდილმა მიახვედრა, რომ შემცვლელი უკვე გამოცხადებულიყო საგუშაგოზე.

ზუსტად 1462 საათი რჩებოდა დემობილიზაციამდე.

კანტი-კუნტად ესმოდა, როგორ არკვევდა ყარაულის უფროსი „ინციდენტის“ მიზეზებს.

— X-ის დღეა, გერმანელებს დააბრალებენ!.. — გაუელვა ფიქრმა.

სველი, წითლად შეღებილი ჯარისკაცული ფარაჯა ტანს შემოეტმასნა და სულს უხუთავდა...

# ახალი მიზნები, ახალი იდეები

ამას წინათ, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს მწერალთა კავშირის „მწერალთა სასახლის" წესდება. წესდებამ, რომელშიც ბევრი უაღრესად საინტერესო და, ამავე დროს, თამამი იდეა გვხვდება, ქართველ მწერალთა და მრავალრიცხოვან მკითხველთა დაინტერესება გამოიწვია. ამიტომაც „ლიტერატურული საქართველოს" სპეციალური კორესპონდენტი შეხვდა მწერალთა სასახლის დირექტორს, ბატონ **თეიმურაზ გძელიძეს** და ინტერვიუ ჩამოართვა მას.

●

— ბატონო თეიმურაზ! კარგად მოგეხსენებათ, გენიალური ფიროსმანის განუხორციელებელი ოცნება: აეგო დიდი ხის სახლი, სადაც ერთმანეთს შეხვდებოდნენ მხატვრები და ისაუბრებდნენ მხატვრობაზე, სიყვარულზე, სიკეთეზე, პატიოსნებაზე... შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართველ მწერალთა მთელი თაობები, ფიროსმანის დარად, ოცნებობდნენ, ჰქონოდათ საკუთარი სახლი, ის ნავთსაყუდელი, რომელშიც ათასხუთასწლოვანი მწერლობის მემკვიდრეებს საშუალება ექნებოდათ ერთმანეთთან შეხვედრისა და ბჭობისა ჩვენი ყოფის საჭირბოროტო პრობლემებზე, იმაზე, რაც აგრერიგად აწუხებს მეოცე საუკუნის მიწურულის შემოქმედს. ამიტომაც, სულითა და გულით ვულოცავ ქართველ მწერლებს მათი დიდი ხნის ნალოლიავები ოცნების ასრულებას. მათ გადაეცათ დიდებული შენობა, რომელიც ქართული მწერლობის, საერთოდ, ქართული კულტურის ერთ-ერთ უმძლავრეს კერად უნდა იქცეს.

**— ამ მილოცვას მეც სიამოვნებით ვუერთდები. ქართულ მწერლობას მართლაც რომ მოსალოცად აქვს საქმე. ჩვენს უაღრესად რთულ, კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში, როდესაც ასე მწვავედ დგას გაუცხოების პრობლემა, ქართველ მწერლებს მართლაც რომ სჭირდებათ შესაკრებელი სულთა, რათა ქართული მწერლობა იღვწოდეს იმ ოცნების მისაღწევად, რომელსაც თავისუფალი, დემოკრატიული, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის საფუძველზე აგებული საქართველო ჰქვია.**

— შენობას, რომელშიც დაივანებს მწერალთა სასახლე, არცთუ სასახელო ტრადიციები გააჩნია...

**— მართალი ბრძანდებით. იგი ჯერ ქართველი ხალხის ობერჯალათ ბერიას ეკუთვნოდა, შემდეგ კი იქ განთავსებული იყო ისეთი ანტიეროვნული ორგანიზაცია, როგორიც საქართველოს კომკავშირი გახლდათ. მადლობა ღმერთს, ამ ორგანიზაციას ახლა უკვე ყოფილი ჰქვია.**

**ამაზე ჩვენც გვიფიქრია. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, რეკონსტრუქციის დამთავრებისთანავე, ვთხოვოთ უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს აკურთხოს ჩვენი სასახლე და ღვთის სიტყვით განწმინდოს წლების მანძილზე აქ ჩაბუდებული სიცრუისა და ბოროტების შხამისაგან.**

— უახლოეს წარსულში ქართველი მწერლები ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ ასეთ შენობაში დაიდებდნენ ბინას.

**— ეს ჩვენი ეროვნული ხელისუფლების დამსახურებაა. მათ შესანიშნავად მოეხსენებათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი მწერლის მართალ, პირუთვნელ სიტყვას საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის მიღწევაში. შემდგომშიც დიდი იმედი გვაქვს მათი თანადგომისა.**

**ერთსაც ვიტყოდი: რამდენადაც ვგრძნობთ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების სრულ მხარდაჭერას, იმდენად გაუგებარია საშუალედო რგოლის ზოგიერთი ხელმძღვანელის პოზიცია. მათი უსაფუძვლო, ზოგჯერ კი კურიოზული შინაარსის ცირკულარები ჩვენს გაოცებას იწვევს. მათ გასაგონად მინდა განვაცხადო: ძვირფასო მეგობრებო, მხარში თუ არ ამოგვიდგებით, ხელს მაინც ნუ შეგვიშლით ჩვენს საქმიანობაში.**

— როდესაც ახალ საქმეს ეყრება ხოლმე საფუძველი, როგორც წესი, ცდილობენ გამოიყენონ სხვათა გამოცდილება. მწერალთა სასახლეს თუ მოეპოვება ანალოგი და თუ მოეპოვება, რამდენად იქნება მისი გამოცდილება თქვენს საქმიანობაში გაზიარებული?

**— მოსკოვში არსებობს სსრკ მწერალთა კავშირის ლიტერატორთა ცენტრალური სახლი, რომელიც „ცდლ"-ს სახელითაა ცნობილი. „ცდლ" ტოტალიტარული იმპერიის სამსახურში იყო ჩაყენებული და მის უმთავრეს დანიშნულებას მწერლების მოთვინიერება, მათი „სოციალისტური სამშობლოს" იდეოლოგებად გამოწვრთნა წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ, ამ მიზნებიდან გამომდინარე, იგი სახელმწიფო რანგში აყვანილი დაწესებულება გახლდათ და ყურადღებაც სათანადო ექცეოდა. გარდა იმისა, რომ მას ლიტფონდის ვეება ბიუჯეტი აფინანსებდა, არც სახელმწიფო აკლებდა ზრუნვა-პატრონობას. თავად „ცდლ"-საც ჰქონდა საკუთარი ფინანსური შემოსავალი: არენდა, ფასიანი საღამოები, მთელ მოსკოვში განთქმული რესტორანი, საგამოფენო დარბაზი, საბილიარდო... ყოველივე ამას 120-კაციანი აპარატი ემსახურებოდა.**

**რაც შეეხება ჩვენს სასახლეს, მას სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში უხდება ფორმირება. ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ახორციელებს, კომუნისტების მიერ დანატოვარმა გაპარტახებულმა მეურნეობამ გამოიწვია ის, რომ იმთავითვე უარი ვთქვით სახელმწიფო დაფინანსებაზე, დოტაციაზე და გადავწყვიტეთ თვითვე ვუპატრონოთ საკუთარ თავს. ავირჩიეთ განვითარების სამეურნეო გზა და ჩამოვცილდით სახელმწიფო ბიუჯეტს. მიგვაჩნია, რომ ახლანდელ რთულ ეკონომიკურ პირობებში სირცხვილიც კია საავადმყოფოებისა და საბავშვო ბაღების დარად, ჩვენც დოტაციაზე ვიყოთ. არა და არა. უნდა შევქმნათ ეკონომიკური წინაპირობა, რათა საკუთარი თავიც შევინახოთ, და, შეძლებისდაგვარად, საქართველოს ეკონომიკის წინსვლაშიც შევიტანოთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი.**

— იქნებ, სასახლის ძირითად მიზნებსა და დანიშნულებაზეც მოუთხროთ ჩვენს მკითხველებს.

**— სასახლემ, უპირველეს ყოვლისა, პროპაგანდა უნდა გაუწიოს ქართულ მწერლობას, ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. სისტემატურად გაიმართება დისპუტები, შემოქმედებითი საღამოები, ლიტერატურული შეხვედრები, სიმპოზიუმები, ლექციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე.**

**მოვაწყობთ ქართველი კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების შემოქმედების ამსახველ საგამოფენო დარბაზს. განზრახული გვაქვს, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი საექსპოზიციო დარბაზის მოწყობაც, სადაც ყოველწლიურად 26 მაისს აღინიშნება საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.**

**შევქმნით გამოჩენილ ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ დოკუმენტურ კინო და ვიდეოფილმებს.**

**გამოვცემთ კლასიკოს და თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებს.**

**მოვაწყობთ კონკურსებს, კინოფესტივალებს, სამხატვრო გამოფენა-გაყიდვებს, აუქციონებს, სხვადასხვა სახის კომერციულ ღონისძიებებს და ლატარიის გათამაშებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.**

**სასახლეს სისტემატურად ექნება ყოველკვირეული ღია კარის დღე, რომელიც ქართველი მკითხველის სულიერ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას მიეძღვნება. ჩვენ სულაც არ ვაპირებთ კასტურ, ჩაკეტილ ცხოვრებას და გულღიად ვუმასპინძლებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული ლიტერატურა და მწერლობა.**

**სასახლე დიდ როლს დაუთმობს ლიტერატურული მემკვიდრეობის პროპაგანდას როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადავდგით. კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შექმნილია ქართული ლიტერატურის კუთხე, სადაც სამასამდე ქართული წიგნია გამოფენილი.**

**სასახლეში შევქმნით უცხოეთში გადახვეწილ მწერალთა კუთხეს. ამ საქმეში დიდი იმედი გვაქვს ბატონ გურამ შარაძის დახმარებისა.**

**მწერალთა კავშირის წევრებისა და მათი ოჯახებისათვის ჩამოყალიბდება საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული წრეები, ტურიზმის განყოფილება, კინოფოტოლაბორატორია. სასახლეში იმუშავებს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა ობიექტები, რესტორანი, ბუფეტი, ღამის ბარი...**

— აგაშენოთ ღმერთმა. მიზნები მართლაც დიდებული გქონიათ. მაგრამ ამ მიზნების გაცნობისას, ბუნებრივად იბადება კითხვა: ყოველივე ამას საკმაოდ სოლიდური თანხა ესაჭიროება, თქვენ კი ზემოთ განაცხადეთ, ყოველგვარ დოტაციაზე უარი ვთქვითო. რა გზებით, რა საშუალებებით უნდა იარსებოს სასახლემ?

**— სასახლის არსებობისა და განვითარების უმთავრეს პრინციპად ჩვენ სასახლესთან სხვადასხვა სახის კომერციული ფირმის დაარსება მივიჩნიეთ. გადაწყვეტილი გვაქვს შევქმნათ დიზაინერ-არქიტექტორების, ტურიზმის, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საგამომცემლო, საბირჟო-საქციო, კინო-ტელე ფირმები, მცირე საწარმოები, დავაარსოთ წმინდა ილია მართლის სახელობის ბანკი და შრომის ბირჟა.**

**ეს არასრული სია გახლავთ იმ ფირმებისა, რომლებმაც უნდა შეგვაძლებინონ თავის შენახვა. მინდა აღვნიშნო, რომ უკვე შეუდგა საქმიანობას დიზაინერ-არქიტექტორების ფირმა „ხერაფიტა", რომელსაც ცნობილი მხატვარ-დიზაინერი, ბატონი თამაზ შაშიაშვილი უდგას სათავეში. სიტყვამ მოიტანა და უნდა მოგახსენოთ, რომ მათ უკვე შექმნეს ნაწილი სასახლის გენერალური გეგმის სარეკონსტრუქციო პროექტებისა, დაამთავრეს ექსტერიერის დაპროექტება. ყურადღებას იპყრობს მწერალთა დასასვენებელი სახლის პროექტი. ამჟამად ისინი მუშაობენ სასახლის წინა ფასადის ინტერიერის დიზაინურ გადაწყვეტაზე. ძალზე გვახარებს ისიც, რომ „ხერაფიტაში" შეიქმნა სასანთლეებისა და ბრების მეტად ორიგინალური ნიმუშები, რომლებიც სულ მალე პირველ ფინანსურ შემოსავალს მისცემს სასახლეს.**

**ძალზე პერსპექტიულად გვესახება სატურიზმო ფირმის ჩამოყალიბება. ფირმა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ქართველ მწერლებსა და მათი ოჯახის წევრებს მოემსახურება, სასახლის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქცევა. საზღვაო სანაოსნოსთან, სპორტისა და ტურიზმის, აგრეთვე იუსტიციის სამინისტროებთან შეთანხმებით, ფირმა ხელშეკრულებას დადებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, დიდ ყურადღებას მიაქცევს საქართველოში სამონადირეო და სათევზაო ტურიზმის განვითარებას, დააინტერესებს უცხოელ პარტნიორებს საქართველოთი, რაც დამატებით ვალუტის წყაროდ იქცევა.**

**სავაჭრო-საყოფაცხოვრებო ფირმა დამოუკიდებლად იზრუნებს მწერლებისათვის აუცილებელი სამეურნეო-სამრეწველო საქონლის შემოტანაზე, როგორც მეზობელი რესპუბლიკებიდან, ისე საზღვარგარეთის იმ ქვეყნებიდანაც, რომლებთანაც ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და რომლებშიც ჩვენი წარმომადგენლები გვეყოლება. ერთ-ერთი მათგანი უკვე გვყავს დანიაში, კოპენჰაგენში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე მარინე არაყიშვილი. იგი კოპენჰაგენის უნივერსიტეტში მუშაობს და აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს იქაურ საქმიან წრეებთან. უკვე გამოიკვეთა ჩვენთვის სასურველი კონტურები: ერთ-ერთი დანიელი ბიზნესმენი აპირებს კულტურის ცენტრისათვის კოპენჰაგენში შენობის გამოყოფას. ამავე დროს, მას განზრახული აქვს, თბილისში ააშენოს ჰაერის გამწმენდ საშუალებათა ქარხანა. ისე რომ, კონკრეტული წინადადებებით მალე შევალთ საქართველოს მთავრობაში.**

**საბირჟო-საქციო ფირმა საშუალებას მოგვცემს, მუდმივად საქმის კურსში ვიყოთ ეკონომიკური კონიუნქტურისა, რათა იგი სასახლისათვის გამოვიყენოთ. სასახლე გამოუშვებს ფასიან ქაღალდებს საქმიანი წრეებისათვის და ეცდება ყოველივე ეს ქართველ მწერალთა სამსახურში ჩააყენოს. იგივე შეიძლება ითქვას შრომის ბირჟაზე. თუმცა, ეს უკვე ჩვენს პატარა საიდუმლოს წარმოადგენს და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ერთს კი ვიტყვი, რომ ამ ბირჟაზე დიდ იმედებს ვამყარებთ.**

**მცირე საწარმოები მეტად პერსპექტიულ მხარეს წარმოადგენს ჩვენი საქმიანობისას. ერთ ასეთ საწარმოს უკვე ვქმნით ლაგოდეხში, რომელიც ხმელ ხილსა და სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატს დაამზადებს. ასეთი ათამდე საწარმო გვექნება მთელ რესპუბლიკაში. გვჭირდება 25 ჰა მიწა თბილისთან ახლოს წყალსაცავიან ზოლში, სადაც შევქმნით სხვადასხვა დამხმარე მეურნეობებს. ეს მეურნეობები მთლიანად ქართველ მწერალთა სამსახურში ჩადგება. იმედია, რომ რესპუბლიკის მთავრობა გაითვალისწინებს ამ თხოვნასაც.**

**დაბოლოს, ყველა ზემოთაღნიშნული ფირმის მონაწილეობითა და მწერალთა მხარდაჭერით გვინდა დავაარსოთ ილიას სახელობის ბანკი, რომელიც ფინანსურ და ეკონომიკურ მომსახურებას გაუწევს მთელ ქართულ მწერლობას. ბანკის მეშვეობით შეიქმნება საქველმოქმედო ფონდები, აშენდება დასასვენებელი და საცხოვრებელი სახლები, გაიცემა სხვადასხვა სახის სესხი...**

**ერთი სიტყვით, თუ დაგვაცლის და ხელი არავინ შეგვიშალა, ჩვენ შევძლებთ ღირსეულად ვემსახუროთ ქართული მწერლობის განვითარებასა და წინსვლას.**

— და მაინც რითი დაიწყეთ თქვენი საქმიანობა?

**— სამწუხაროდ, პირველად რომ შევდგით ფეხი შენობაში, მეტად სავალალო სურათი წარმოგვიდგა თვალწინ. ეს ოდესღაც კოპწია და მთელ ქალაქში გამორჩეული სახლი იავარქმნილი დაგვიხვდა. სახურავი ახდილი ჰქონდა, ჭერი ჩამონგრეული. შენობა პირწმინდად გაეძარცვათ. მოპარული იყო ავეჯი, კონდიციონერები, ფანჯრის ჩარჩოები, საკეტებიც კი წაეღოთ. ხოლო რისი წაღებაც ვერ მოეხერხებინათ, დაემტვრიათ და გაენადგურებინათ. რამდენიმე ტონა ნაგავი გავიტანეთ. ერთი სიტყვით, გული მოგვიკვდებოდათ.**

**გარდა ამისა, შენობაში 80-მდე სხვადასხვა ორგანიზაცია დაგვხვდა, რომლებსაც არაფრით არ უნდოდათ შენობის დატოვება. მხოლოდ ჩვენი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, 9 ორგანიზაციამ დატოვა აქაურობა. ჩვენ ყველა მათგანს დავაცალეთ ბინის შოვნა, ისე, რომ, ყველაფერმა საკმაოდ მშვიდობიანად, უკონფლიქტოდ ჩაიარა. ახლა ჯერი შენობის მეორე მხარეზეა. იმედი გვაქვს, რომ დღემდე შემორჩენილი „მდგმურები" ანგარიშს გაუწევენ ქართულ მწერლობას, სასახლის ჭეშმარიტად დიდ ეროვნულ მისიას და ასევე უკონფლიქტოდ მიგვატოვებენ. ჩხუბსა და დავიდარაბას არავისთან არ ვაპირებთ, მაგრამ ჩვენს მოთმინებასაც აქვს თავისი საზღვარი.**

— თქვენ ბრძანეთ, რომ თითქმის მზადაა სასახლის რეკონსტრუქციის პროექტი. მკითხველს, ალბათ, ისიც დააინტერესებს, თუ რა სახეს მიიღებს საბოლოოდ სასახლე.

**— მოგახსენებთ. რეკონსტრუქციის შემდეგ ქართველ მწერლებს და, თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა, ქართველ ერს ექნებათ ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უმძლავრესი კერა, რომელიც უპასუხებს ყველაზე დახვეწილი, ყველაზე გემოვნებიანი შემოქმედის მოთხოვნებს. იგი აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევებით. წინა მხარის პირველ სართულზე განლაგდება 250-კაციანი კლუბი, რომლის ფოიეს საექსპოზიციო დარბაზად გამოვიყენებთ. აქვე მოეწყობა ზამთრის ბაღი-ბარი. წინა მხარის მეორე სართულს ზემოთნახსენები ფირმები დაიკავებენ, მესამე კი ოფისს და ორ მუზეუმს (მწერალთა და ეროვნული მოძრაობის) დაეთმობა.**

**უკანა მხარის პირველ სართულზე ბინას დაიდებს სავაჭრო ცენტრი სამრეწველო, ბუკინისტური, ყვავილებისა და კომერციული მაღაზიებით. აქვე გვექნება საყოფაცხოვრებო ცენტრიც, სადაც განთავსდება ჰიგიენის ოთახები, მბეჭდავ-მემანქანეთა ბიურო, ქსეროქსი, კინო-სათეატრო და სატრანსპორტო სალაროები, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემკეთებელი სახელოსნო. სარდაფში მოეწყობა საბილიარდო და ღამის ბარი. უკანა მხარის მეორე სართული დაეთმობა კიდულ რესტორანს. მე-3 სართულზე იმუშავებს ბიბლიოთეკა, მეთოდური მუშაობის კაბინეტი, მედპუნქტი. მე-4 სართულზე ილიას სახელობის ბანკი გვექნება, რომელიც მხოლოდ ქართველ მწერლებს მოემსახურება.**

— თქვენ საკმაოდ შთამბეჭდავი პანორამა დაგვიხატეთ მომავალი საქმიანობისა. მაგრამ ერთი კითხვა კიდევ უნდა დაგისვათ: როდის ამოქმედდება სრული ძალით მწერალთა სასახლე?

**— ჩვენ შემუშავებული გვაქვს მოქმედების ხუთწლიანი გეგმა, თუ მშვიდობა იქნა და ხელი არავინ შეგვიშალა, ამ ხნის მანძილზე განვახორციელებთ ჩვენს მიზნებს.**

— კიდევ ერთი შეკითხვა: ამ მართლაცდა დიდ საქმეს ერთი ადამიანი, რა საქმიანი თვისებებითაც არ უნდა იყოს დაჯილდოებული, მარტო ვერ აუვა, ვინ გიდგათ მხარში, ვინ გეხმარებათ დასახული მიზნის მიღწევაში?

**— ძალიან დიდ დახმარებას მიწევენ მწერალთა კავშირის მდივნები, ბატონები გურამ ფანჯიკიძე და ინვერ [illegible], ხოლო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ბატონი მუხრან მაჭავარიანი უშუალოდ კურატორობს სასახლეს და ყველა უმთავრესი საკითხი მისი შემწეობით წყდება.**

— გისურვებთ წარმატებებს თქვენს საპატიო, არ დავმალავ, მეტად რთულ საქმიანობაში. გისურვებთ დაუბრკოლებლად გაგევლოთ ყველა მეჩეჩი და უახლოეს ხანში ფართოდ გაგეღოთ მწერალთა სასახლის კარი.

**— დიდ მადლობას მოგახსენებთ კეთილი სურვილებისათვის. კარგად გვაქვს წარმოდგენილი, თუ რა სირთულეების წინაშე ვდგავართ, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა ქართული მწერლობის წინაშე ალბათ, ყველა დაბრკოლების გადალახვაში დაგვეხმარება.**

**ღმერთი იყოს ჩვენი შემწე და მფარველი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური ემიგრანტი და ემისარი სიმონ გოგიბერიძე

ვაქვეყნებთ სიმონ ლევანის ძე გოგიბერიძის (1900-1969.11.9) ავტობიოგრაფიას. დაბადების ადგილი და სხვა ცნობები მასშივეა აღნიშნული. ჩვენ კარის მეზობლები ვიყავით. იგი უფროსი იყო ჩემზე, მაგრამ მე და ჩემი თანატოლები მასთან ერთად ვიყავით ხშირად. მამაჩემის პაპის არქიმანდრიტ ოქროპირის ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გაემდიდრებინათ ჩემს პედაგოგ მშობლებს; სიმონი ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი იყო, ბევრს კითხულობდა და უმცროს მეგობრებსაც გვირჩევდა, რა წაგვეკითხა.

სიმონის მამა—ლევან ნიკოს ძე გოგიბერიძე მღვდელი და მასწავლებელი იყო; დედაც — სონია (სოფიო) კონსტანტინეს ასული მგალობლიშვილი სასულიერო წოდების ოჯახიდან (ს. ერკეთი) გახლდათ. სიმონს ჰყავდა დები: ნინო და თამარი. ლევანი 1906 წ. გარდაიცვალა. ბაბუა — ნიკო გოგიბერიძეს და ბებია—ნინო თავართქილაძეს საშუალო შეძლების გლეხის ოჯახი ჰქონდათ; სონიაც გამჭრიახი ქალი იყო, ბავშვები კარგად დაზარდეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სიმონს ზოგი კომუნისტი მტრობდა და იძულებული გახდა არალეგალურად ეცხოვრა ადრეც „ნაყაჩაღარ“ სერგო მათითაიშვილთან (1888-1955 წ.) ერთად. ორივენი მთავარორგანიზატორთაგანი იყვნენ საქართველოს 1924 წლის აჯანყებისა გურიაში. დამარცხების შემდეგ ისინი ქართულ ემიგრაციას შეუერთდნენ საფრანგეთში. მაშინ ეს არც ისე იკრძალებოდა და 1928 წლამდე სიმონი ზოგჯერ მწერდა კიდეც; ბებრები როგორ მყავანან და ბიჭებთან ერთად ოჯახს მიმიხედეთო!.. ერთხელ, ალბათ, „გადავაჭარბე“ და მიპასუხა: ფრთხილად წერე, თორემ თვალი გეტკინებაო!..

სიმონ გოგიბერიძის წიგნი 1924 წლის აჯანყებაზე „ბრძოლა სამშობლოსათვის“ (პარიზი 1938 წ.)*. პირველად 1988 წ. ვნახე გაზ. „ზარია ვოსტოკას“ საგამოფენო დარბაზში. სიმონი ავტორია სხვადასხვა წერილებისა, ნათარგმნი აქვს ნაშრომები. ქართულიდან ფრანგულსა და თურქულიდან ქართულ ენებზე.

როგორც სიმონ გოგიბერიძე ქვემოთ წარმოდგენილ ავტობიოგრაფიაში წერს, მან თურქეთსა და საფრანგეთში ცხოვრების შემდეგ, 1938 წელს, ნ. ჟორდანიასა და მისი თანამებრძოლების ემისრული დავალებით, იმოგზაურა დასავლეთ ევროპის ჩრდილო აფრიკისა და არაბეთის ქვეყნებში, ჩავიდა თეირანში. 1940 წლის 20 აპრილს კი ის და მისი თანმხლები დავით ერქომაიშვილი თურქეთიდან შავშეთის გზით უძნელეს პირობებში შემოვიდნენ აჭარა-გურიაში, 31 დღე-ღამე დაჰყვეს აქ და უკან დაბრუნდნენ.

საბჭოთა ორგანოებმა ეს ფაქტი ემისრების გაპარვის შემდეგ დაადგინეს! სიმონის სახლ-კარს კონფისკაცია უყვეს, აჭარასა და გურიაში დასაჯეს აუარებელი ოჯახი და ცალკეული პიროვნება, განსაკუთრებით — სიმონის დები და მათი ქმრები, რომელთაც იგი არც კი უნახავთ, მით უფრო დატანჯეს შვილის მხილველი მოხუცი დედა, რომელიც ცხრა წლის პატიმრობისა და წამების შემდეგ გარდაიცვალა; დასჯილმა ოჯახმა დედის ცხედრის ჩამოსვენება და



კუკიაზე დაკრძალვა მოახერხა.

ს. გოგიბერიძე 1942 წლის 20 ივნისს მეორედ შემოვიდა გურია-აჭარაში იმ მიზნით, რომ, თუ საბჭოთა ხელისუფლება დამარცხდებოდა, საქართველოში ფაშიზმი არ დამყარებულიყო. უკან წასვლის დროს სიმონი მესაზღვრეებმა შეიპყრეს. მისი საქმის ძიება გაგრძელდა. 27 თვეს, უსასტიკეს პირობებში; პატიმარს მიუსაჯეს 25 წელი, რომელთაგან ვლადიმირის ცნობილი ციხის კარცერში სამი წელი იყო ჩაკეტილი და შემდეგაც ცალკე კამერაში იმყოფებოდა. 1956 წელს ს. გოგიბერიძე გაათავისუფლეს, 50 დღე დაჰყო სამშობლოში, მაგრამ შეგვეშალაო, უთხრეს და ისევ ვლადიმირის ციხეში ჩაჰკეტეს.

გასათვალისწინებელია, რომ ავტობიოგრაფია დაწერილია ოფიციალური დავალებით რეაბილიტაციისათვის. მაშასადამე, მასში ზოგი რამ შერბილებულია. მისი ერთ-ერთი ცალი დაცულია ავტორის დისშვილთან, პედაგოგ ლილი კუკულაძესთან. ვაქვეყნებთ მას მცირე შემოკლებით და ორთოგრაფია-პუნქტუაციის აქა-იქ დაზუსტებით.

ს. გოგიბერიძე დაკრძალულია თბილისში, კუკიის სასაფლაოზე. სამშობლოსათვის თავდადებული უკვალოდ არ იკარგება.

---

* წინამდებარე წერილის რედაქციაში წარდგენის შემდეგ ს. გოგიბერიძის წიგნის ტექსტი „ბრძოლა მამულისათვის“ (პარიზი, 1938 წ. მათხოვა გურამ შარაძემ), განმეორდა ჟურნ. „მნათობში“ (1990 წ. №№ 7, 8, 9). ავტორზე დაიბეჭდა წერილი — გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წ. 20 სექტ. № 38, გვ. 8-9. აქ წინაპრები ტახტის აზნაურად იხსენიებიან, რაც არაა სწორი. ს. გოგიბერიძის შესახებ ზოგი ჩემი მოგონება იხ. „თამარ პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“. საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თეატრალური ხელოვნების პროპაგანდის ცენტრის გამოცემა, თბილისი, 1990 წ. გვ. 264.

**იოსებ მეგრელიძე**

# ავტობიოგრაფია

სიმონ ლევანის ძე გოგიბერიძე დავიბადე 1900 წელს, დაბა სიდისთავში (ახლა ჩოხატაურის რაიონის სოფლსაბჭო). დავამთავრე სოფლის ორკლასიანი სკოლა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი. სწავლა განვაგრძე თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ჩემი უსაყვარლესი საგნები იყო გეოგრაფია, საქართველოს და მსოფლიო ისტორია, ქართული და რუსული კლასიკა, მსოფლიო სამხედრო ისტორია, მათემატიკა. ვსწავლობდი კარგად, მაგრამ უფრო მეტ დროს ვახმარდი თვითგანვითარებას.

ხუთი წლის ასაკიდან ბევრი რამ მახსოვს ჩვენი ხალხის ბრძოლებიდან ცარიზმის წინააღმდეგ, რითაც განთქმული იყო მაშინდელი გურია...

წამოვიზარდე და მეც, ჩემს ამხანაგებთან ერთად, ვასრულებდი ამ ბრძოლაში პატარ-პატარა დავალებებს. რასაკვირველია, ამ ჩვენს მაშინდელ „მოღვაწეობას“ უფრო აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე რაიმე პოლიტიკური. მიუხედავად ამისა, მე ახალგაზრდობის რაიმე ორგანიზაციაში არ ვირიცხებოდი თებერვლის რევოლუციამდე. დავრჩი ყოველგვარი პარტიისა და პოლიტიკური დაჯგუფებების გარეშე.

ამ რევოლუციის პირველი დღეებიდანვე, საქართველოში არსებული პარტიების ერთობლივი მოწოდების თანახმად, საქართველოში შეიქმნა მუშათა წითელი გვარდია, სახალხო მილიცია და ქართული სამხედრო ნაწილები. ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი გამოეხმაურა ამ მოწოდებას და მოხალისედ წავიდა ჯარში, გვარდიაში თუ მილიციაში. ეს ის დრო იყო, როცა რუსის ჯარი მოიხსნა თურქეთის ფრონტიდან და მას ფეხდაფეხ ზურგში მოსდევდა ოსმალეთის არმია, რომელიც განადგურებით გვემუქრებოდა ჩვენ და განსაკუთრებით სომხებს. ჩვენს სასულიერო სემინარიაში მოხალისე მოწაფეებისაგან და სტუდენტებისაგან შეადგინეს „თბილისის მსროლელთა ათასეული“, რომელიც იქვე სემინარიის შენობაში (ვაკეში) იყო მოთავსებული. მას შემდეგ 1921 წლის თებერვლის ბოლომდე ვემსახურებოდი ქართულ სამხედრო ნაწილებში. იქვე დავამთავრე ტყვიამფრქვეველთა სასწავლებელი, ვმონაწილეობდი თურქებისა და დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლებში.

1920 წლის ბოლოს მე მივიღე ოფიცრის ხარისხი და 1921 წლის თებერვალში ვიმყოფებოდი გაგრის ფრონტზე; ვიბრძოდი მე-9 არმიის ნაწილების წინააღმდეგ, რომლებიც შავი ზღვის პირით გვიტევდნენ.

ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციის დასაწყისში საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შეიქმნა საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეთა ფრაქცია; გამოვიდა მათი ორგანო „ალიონი“. მივხვდი, რომ სულ ახლო მომავალში, მაშინდელ ისტორიულ მოვლენათა განვითარების შედეგად, საქართველო იძულებული იქნებოდა თვითონ მოევლო თავის თავისათვის, ესე იგი გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა.

ვინაიდან ქართველი ერის უმეტესობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენის ქვეშ იყო და თვით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაშიც თანდათან ფეხს იკიდებდა დამოუკიდებლობის იდეა, მეც, რიგ ჩემს ამხანაგებთან ერთად, 1917 წლის მაისში შევედით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

არავითარი პარტიული თანამდებობა არასოდეს არ მჭერია, არც ვყოფილვარ „პარტიული“ მოღვაწე; 4 წლის განმავლობაში ვემსახურებოდი ქართულ ნაწილებში და შეძლებისდაგვარად ვიხდიდი ვალს სამშობლოს წინაშე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მე დავბრუნდი სახლში და მინდოდა სწავლა გამეგრძელებინა უნივერსიტეტში, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა: მე თურმე „ხალხის მტრებს“ ვემსახურებოდი!.. ამავე მიზეზით არ მიმიღეს ქართულ წითელ არმიაში, თუმცა ჩემი ხნის მიხედვით მე სამხედრო სამსახური უნდა მომეხადა და კიდევაც გამომიძახეს სამხედრო კომისარიატში ოზურგეთში, მაგრამ არ ჩამთვალეს წითელ არმიაში სამსახურის ღირსად!

საქართველოს გასაბჭოების პირველი დღიდანვე ჩვენს ქვეყანაში გაიმართა ძმათა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ამ ბრძოლის მონაწილე, ჩემდა უნებურად, გავხდი მეც. მე, ჩემი ქვეყნის მოქალაქესა და ჯარისკაცს, ჩემს უწმინდეს და უპირველეს მოვალეობად მიმაჩნდა ვყოფილიყავი ჩემს მშობელ ერთან ერთად ბედსა თუ უბედობაში, თუნდაც მის შეცდომებშიაც კი, და ამნაირად მონაწილე გავხდი იმ საშინელი ტრაგედიისა, რომელიც ოციან წლებში დაატყდა თავს ქართველ ერს. უმრავლესობამ მსოფლიოში ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკში იმყოფებოდნენ, გზა გაუხსნეს ძმათაშორის ბრძოლას და მას ხელმძღვანელობდნენ, დაიხოცნენ. მე არა მაქვს კადნიერება ჩემი თავი მათ მოსამართლედ გამოვაცხადო. მათი ერთადერთი და უმაღლესი მოსამართლე არის თვით ქართველი ერი. დარწმუნებული ვარ, რომ თავის დროზე ქართველი ერი გამოიკვლევს და ღირსეულად შეაფასებს მათ ავსა და კარგს...

1922 წლის ივლისიდან 1924 წლის სექტემბრამდე ვიმყოფებოდი არალეგალურ მდგომარეობაში. ვიყავი არალეგალური სამხედრო ორგანიზაციების წევრი; ჩოხატაურის რაიონის სამხედრო ორგანიზაციების შტაბის უფროსი და 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის აჯანყების დროს გუნდის უფროსი.

1924 წლის შემოდგომაზე, რამოდენიმე ჩემს ამხანაგთან ერთად, მე დავტოვე საქართველო (არალეგალურად) და იმავე წლის დეკემბერში ჩავედი ქ. მარსელში, უცხოელი მუშის ვიზით. საფრანგეთში ვიმყოფებოდი 1938 წლის შემოდგომამდე და ჩემი შრომით ვირჩენდი თავს. 1930 წლიდან ჩემი მატერიალური მდგომარეობა საკმაოდ გაუმჯობესდა, ასე რომ მე შემეძლო ჩემი თვითგანვითარება გამეგრძელებინა. ვსწავლობდი დაუსწრებლად სხვადასხვა ზოგადი განათლების უმაღლეს კურსებზე იმავე ჩემს საყვარელ საგნებს და აგრეთვე სოციოლოგიას, პოლიტიკას და ენებს. აგრეთვე კაპიტალისტური ქვეყნების სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას თანამედროვე ეკონომისტებისა თუ მარქს-ენგელსის მიხედვით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარიზის ორგანიზაციის წევრი ვიყავი, მაგრამ იქაც არავითარი პარტიული თანამდებობა არ მეჭირა. ერთ დროს კიდევაც დავცილდი ორგანიზაციას და რამოდენიმე წლის განმავლობაში იშვიათად ვესწრებოდი კრებებს. მთელი დრო უნდებოდა მუშაობას და სწავლას...

მე მიმაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირში ტარდებოდა კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ექსპერიმენტი, რომ ეს ექსპერიმენტი თავის ლოღიკურ დასკვნამდე უნდა მისულიყო და მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი მასზე მსჯავრის გამოტანა...

მე მაინტერესებდა ეროვნული საკითხი: შეძლებს თუ არა მცირერიცხოვანი ქართველი ერი შეინარჩუნოს მისი ეროვნული სახე და არ გაითქვიფოს ასეთ უზარმაზარ სახელმწიფოში; კავშირში შემავალი ერების სოციალური, პოლიტიკური, მატერიალური და სულიერი ცხოვრების ასეთი უნიფორმიზაციის შედეგად, როდესაც არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ ერთა შორის ისტორიულ-ნაციონალური, მატერიალური და სულიერი ხასიათის განსხვავებებს, რომ არაფერი ვთქვათ ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და ბუნებრივი განსხვავების შესახებ; როცა გაბატონებული იყო ცრუმეცნიერული თეორია, რომ „ადრე თუ გვიან ერები გადაიქცევიან ერთადერთ ერად, ერთი მატერიალური და სულიერი კულტურით, ერთი ენით“. ეს „თეორია“ უარყოფილია მთელი კაცობრიობის ისტორიით და მტყუნდება ყოველ ნაბიჯზე დღესაც, როცა ყოფილი კოლონიალური ერები თავისუფლდებიან რა უცხოელის უღლისაგან, არათუ უარყოფენ თავიანთ ნაციონალურ მისწრაფებებს, არათუ ითქვიფებიან დიდ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთეულებში, თუნდაც მონათესავე ერებთან, არამედ სწორედ დღეს ხდებიან ისინი ნამდვილ სრულყოფილ ერებად და თავისუფლად ავითარებენ თავიანთ ეროვნულ, სორციელ, სულიერ და ზნეობრივ თვისებებს.

მოკლედ, პირადად ჩემთვის, ჩვენს პატარა ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმი და ძალაუფლების სისტემა მეორეხარისხოვანი იყო და არის. ვინაიდან დრო, ესე იგი ისტორიული განვითარება, ასწორებს ან უკუაგდებს არა თუ იმ პოლიტიკურ წყობილების ნაკლს და, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე სწრაფი განვითარების შედეგად, ერები, ბოლოს და ბოლოს მათი განვითარებისათვის ჭეშმარიტ გზას პოულობენ.

მე სისტემატიურად ვკითხულობდი ყოველივე უმთავრესს ქართულსა და რუსულ პრესაში, თვალყურს ვადევნებდი ყოველივე იმას, რაც საქართველოში ხდებოდა ჩვენი ერის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში. ყოველივე ამის შემდეგ მე მიმაჩნდა (და დღესაც მიმაჩნია), რომ ქართველ ერს მისი ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის, მისი ეროვნული, სორციელი და სულიერი კეთილშობილი თვისებების ყოველმხრივი განვითარებისათვის, მხოლოდ ორი საჭურველი აქვს ხელში: სწავლა და შრომა. სწავლას ჩვენი ახალგაზრდობა იძენს ჩვენს მრავალრიცხოვან და მრავალგვარ სასწავლებლებში და თავისი შრომით ამოწმებს შემდეგ ჩვენი საყვარელი სამშობლოს მინდორველებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ბევრი სისხლი და ცრემლი, სამართლიანი თუ უსამართლო, დაღვარა ქართველმა ერმა რევოლუციის შემდეგ, უაღრესად ძვირად დაუჯდა მას მისი მიღწევები, მაგრამ დღეს მას შეუძლია მათით იამაყოს. ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში (გარდა ვიწრო სპეციალისტების უმრავლესობისათვის), უცნობი ქართველი ერის სახელს დღეს იცნობს თითქმის მთელი მსოფლიო, მთელი კაცობრიობა. მცირერიცხოვანი ქართველი ერის მეცნიერებს, ტექნიკასა და ხელოვნებას განცვიფრებაში და აღტაცებაში მოჰყავს ერები, რომელთაგანაც ბევრი ათეული და ასეული მილიონობითაც კი ითვლის თავისი ქვეყნის მოსახლეობას.

ქება და დიდება ჩვენი ერის დღევანდელ თაობას, თითოეულ ქართველ მამულიშვილს, ვინც სწავლობს და შრომობს, რომ უზრუნველჰყოს მშობელი ერის უკვდავება, დედასამშობლოს —საქართველოს მარადიულობა, საქართველოს, რომელსაც მრავალათასწლოვანი სახელოვანი, გმირული წარსული აქვს, და, რომელმაც არათუ წარსულში მხოლოდ საკუთარი არსებობისა და თავისუფლებისათვის გაწეული გმირული, განუწყვეტელი ბრძოლით, არამედ იმ სახელოვანი წვლილით, რაც მას საკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის წინ წაწევის საქმეში აქვს შეტანილი, დაიმსახურა უფლება იცოცხლოს და იბედნიეროს მანამ, სანამ კაცობრიობა არსებობს...

ისევე, როგორც ჩემი შეგნებული ცხოვრების დასაწყისს, დღესაც, როცა ცხოვრების დასასრულს ვუახლოვდები, ჩემი ერთადერთი საზრუნავი, ერთადერთი „სული ბოროტი“, რომელიც არ მასვენებს და მტანჯავს, არის ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ისინი, ვისაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლება უპყრიავს ხელში და ქართველი ერის საქმიანობას განსაზღვრულ მიმართულებას აძლევენ, სწორედ ისინი ატარებენ დღეს თავიანთი ბეჭებით უდიდეს პასუხისმგებლობას ჩვენი ერის წინაშე. მათზეა დამოკიდებული, შეძლებს თუ არა ქართველი ერი შეინარჩუნოს მისი ეროვნული სახე და მისი საკუთარი წმინდა სისხლით გაჟღენთილი მიწა-წყალი, თუ ჩვენი დღევანდელი თაობა იქნება ჩვენი ეროვნული ჯაჭვის უკანასკნელი რგოლი და ქართველი ერისაგან დარჩება მხოლოდ ხსოვნა უცხოელთა მუზეუმებსა და ერმიტაჟებში.

დღეს, როცა ქართველ ერს, როგორც წაქცეულ ხეს, ყოველგვარი ცულიანი თუ უცულო თავს ესხმის, როცა ქართველ ერს მისს სახელოვან წარსულს

(დასასრული მე-10 გვ).

(დასასრული)

უყალბებენ, ტყუილად და არარაობად აცხადებენ, როცა მის მკვდრებსაც კი ძარცვავენ საფლავებში, როცა ქართველ ერს აწმყოში ხაზეში აფურთხებენ და უსაზღვრო შეურაცხყოფას აყენებენ, როცა ჩვენი ერის აშკარა თუ ფარული მესაფლავეები ცდილობენ ჩვენი დღევანდელი თაობა მის საკუთარ შეგნებაში შეარყიონ, თავისი თავისადმი რწმენა დაუკარგონ და ამნაირად ახლო მომავალში მისი გადაგვარება და გადაშენება მოამზადონ, დღეს, ასეთი რთული ეროვნული ამოცანის წინაშე მთელი ჩემი არსებით, ჩემი სისხლის თითოეული წვეთით ვუსურვებ ჩვენი ერის დღევანდელ ხელმძღვანელობას ღირსეულად მოიხადოს მშობელი ერის წინაშე თავისი წმინდა ვალი.

ჰიტლერის ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე გერმანელმა და იტალიელმა ფაშისტებმა დიდი პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს ორმილიონიან რუსულ ემიგრაციაში და აგრეთვე კავკასიელ ლტოლვილებში. მათ შექმნეს ძლიერი ორგანიზაციები, საკუთარი პრესით და სამხედრო წესზე გაწყობილი „დამკვრელი“ ჯგუფებით. მათ განკარგულებაში იყო ფული, პასპორტები, ვიზები და ყოველგვარი საშუალებები სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისათვის. კავკასიელ ლტოლვილებში მათ ჰპოვეს ბევრი გზააბნეული და აშკარა ავანტიურისტიც კი. მათ სათავეში ედგა ყოფილი მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელე, რეაქციონერი და ქართველი ერის მოძულე ლეკი ჰაიდარ ბამატი. მათი საერთო ორგანო იყო ყოველთვიური ჟურნალი «Кавказ». მთელი მათი „მოღვაწეობა“ მიმართეს ძველი პოლიტიკური პარტიებისა და განსაკუთრებით საქართველოს სოც-დემოკრატიული პარტიისა და საქართველოს ყოფილი მთავრობის წინააღმდეგ, ლანძღვა-გინება, ტერორი და მკვლელობაც კი! განსაკუთრებით თავს ესხმოდნენ ნოე ჟორდანიას, რომლის ერთი წერილი, არალეგალურად გამოგზავნილი საქართველოში ოცდაათიან წლებში, ხელში ჩაუვარდათ სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს და გამოქვეყნებულ იქნა ქართულ საბჭოთა პრესაში. ამ წერილში ნ. ჟორდანია ამხელდა ფაშიზმის ბუნებას, მის მისწრაფებებს და აფრთხილებდა ქართველ ერს, არ აჰყოლოდა ფაშისტურ პროპაგანდას. წერილში, რამდენადაც მახსოვს, ასეთი მოწოდებაც იყო: „ფაშისტები საქართველოში არ გააჭაჭანოთ!“

ძველ „ცოდვებთან“ ერთად, აი ეს ახალი „ცოდვა“ ვერ ეპატიებინათ ქართველ სოც-დემოკრატებისა და მათი პარიზელი ხელმძღვანელებისათვის. ყოველივე ის, რაც ევროპაში ხდებოდა ჰიტლერის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ და რაც დღეს ყველასათვის ცნობილია, (ამაზე მე არაფერს ვიტყვი ჯერჯერობით, ვინაიდან ეს არ არის ჩემი განცხადების საგანი), მოასწავებდა მე-2 მსოფლიო ომის მზადებას და აუცილებლობას. აგრეთვე, ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირი, ადრე თუ გვიან, უეჭველად ჩაერეოდა ამ ომში. ისიც ნათელი იყო, რომ ამ შემთხვევაში ყველა — საბჭოთა კავშირის მტერი თუ მოყვარე — შეეცდებოდა ჩვენი ერი თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინა და ამრიგად მისთვის პროვოკაციები მოეწყოთ, როგორც ეს ბევრ პატარა ერს უყვეს ამ მე-2 მსოფლიო ომის დროს.

საქართველოს ყოფილ მთავრობას და მის გარშემო „ეროვნულ ცენტრში“ გაერთიანებულ, ყოფილი ქართული პარტიების ლტოლვილებაში მყოფ წარმომადგენლებს აუცილებელ საჭიროდ მიაჩნდათ ეცნობებინათ ქართველი ერისათვის მომავალი საფრთხის საშიშროება და აგრეთვე მათი შეხედულება და პოზიცია ამ მომავალ აუცილებელ მსოფლიო კონფლიქტში. საქართველოს ყოფილმა მთავრობამ და ყოფილი საქ-სოც-დემოკრატიული პარტიის „საზღვარგარეთელმა ბიურომ“ გამომგზავნეს მე საქართველოში შესაფერისი დავალებებით და დირექტივებით.

აქ შეიძლება მკითხველმა თქვას: რა საჭირო იყო საქართველოში არალეგალურად შემოსვლა, როცა ყოველივე ამის გაგება სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა საბჭოთა მთავრობის მისამართით?

სწორედ ეს არის სამწუხარო და სავალალო: ჩვენი, ე. ი. ლტოლვილი დემოკრატიული პარტიების განწყობილება და პოზიცია ფაშიზმის მიმართ მომავალ მსოფლიო კონფლიქტებში ცნობილი იყო ათეული წლების განმავლობაში მთელი მსოფლიოსათვის, სოციალისტური და კომუნისტური პარტიებისათვის და მათი სოციალისტური და კომუნისტური ინტერნაციონალისათვის. ამ საკითხს აშუქებდა ჩვენი ქართული უცხოეთში გამოცემული პერიოდული პრესა ქართულ და უცხო ენებზე. ქართველები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა საერთაშორისო ჟურნალისტებისა თუ აკადემიური ხასიათის შეხვედრებში. საბჭოთა მთავრობამაც — მისი საელჩოების სახით — ძალიან კარგად იცოდა ყოვე-

ემიჯნებოდნენ და უარყოფდნენ „ღერძის“ კოალიციას, ჰგმობდნენ საერთოდ ფაშიზმს და ქართველ ერს უდიდესი სიფრთხილისაკენ მოუწოდებდნენ, გარდა ამისა, იყო სიტყვიერი დირექტივებიც. როდესაც მე 1938 წელს ჟორდანიას ვემშვიდობებოდი, ჩემს ზოგიერთ შეკითხვაზე მან მიპასუხა და დამარიგა: „მზადდება საშინელი კატასტროფა — მეორე მსოფლიო ომი. საბჭოთა კავშირი ამ ომში ჩაერევა. თქვენ, ქართველებმა დაივიწყეთ ყოველგვარი „იზმები“ და ძმათა შორის განხეთქილებანი და ეცადეთ, მშობელი ერი „გადაარჩინოთ ფიზიკურ განადგურებას“.

აი, მოკლედ, ამავე ხასიათის იყო დირექტივები. საქართველოში ძველი თაობიდან მე აღარავინ დამხვედრია, არა თუ ჩვენი მომხრეები, არამედ ისინიც კი, ვინც ჩვენ მოღალატეს გვიწოდებდა და ცოფიან ძაღლივით გვლეტდა. ისტორიის ნემეზიდამ ანგარიში გაუსწორა მათ. ჩვენ ვინახულეთ სრულიად უბრალო ხალხი, უმეტესობა — ახალგაზრდობა.

ერქომაიშვილის საყვედურზე: რისთვის დავილუპეთ თავი და ვღუპავთ ამ საწყალ ხალხსო, მე ვუპასუხე: ჩვენ რომ დაგვხოცონ ან

ლისმღვრელი პერიოდი. სტამბოლში გამოჩნდნენ გერმანიის აგენტები და ცდილობდნენ კავკასიელ ემიგრანტებთან დაკავშირებას. უკვე აშკარა იყო, რომ ჩქარა სტამბოლში გამოჩნდებოდნენ ქართველებიც — ჰიტლერის მომხრეები და აგენტები — და შეეცდებოდნენ თურქეთის გზით საქართველოში შემოსვლას და რაიმე პროვოკაციის მოწყობას, რაც ძალიან ძვირად დაუჯდებოდა ჩვენს ერს, როგორც ეს დაემართა ჩრდილო კავკასიელებს, სადაც მრავალი დივერსანტი-კავკასიელი იქნა ჩამოშვებული...

გერმანელმა და იტალიელმა აგენტებმა მოახერხეს თურქეთის ქართველებთან დაკავშირება და მათი გზით მოგვადგნენ ჩვენ — საქართველოში ნამყოფ პირებს. მე პირადად, ჩემი ამხანაგების გარეშე, ვინახულე პოლონეთის და ინგლისის საელჩოთა წარმომადგენლები და ვაცნობე შექმნილი მდგომარეობა. მისი აწონ-დაწონის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მე უნდა მიმეღო გერმანელების და იტალიელების წინადადება და ამით გამეგო ყოველივე, რასაც ისინი აპირებდნენ, თურქეთის გზით, საქართველოში რომ შემოვარდნილიყვნენ.

ფიმეორეც, ჩვენ დიდიხნის წინ წაგვართვეს [illegible] ლეგალურად გვებრძოლა მხოლოდ ჩვენი სამშობლოს ინტერესებისათვის და არა სხვათა განდიდებისათვის.

1942 წლის გაზაფხულს დაიწყო გერმანელების შემოტევა და მათი ჯარები უკვე კავკასიონის ქედს — უშუალოდ საქართველოს საზღვარს უტევდნენ. მინდოდა ჩემს ქვეყანაში ვყოფილიყავი, რომ მდგომარეობის მიხედვით მემოქმედა.

1942 წლის 20 ივნისს მე გადმოვლახე საზღვარი (მარტომ) ისევ შავშეთის მთებით, ომის დროს, უაღრესად ძნელ პირობებში; ვიყავი აჭარაში და გურიაში. დავრჩი აქ სულ 35 დღე. უკან გაბრუნებისას საზღვრის ახლოს, ტყეში, ნისლში წავაწყდი ერთ შემთხვევით პოსტს და დამაპატიმრეს. ჩემი საქმის ძიება გაგრძელდა 27 თვე — 10 თბილისში და 17 მოსკოვში. როგორც მოსკოვში მითხრეს, მე არ დამხვრიტეს იმიტომ, რომ მთელი ჩემი მუშაობა მიმართული იყო ყოველგვარი მოსალოდნელი პროვოკაციის წინააღმდეგ. ჩემი სინდისის წინაშე შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ მე გარკვეული მიღწევები მქონდა. ყოველივე ეს, რასაკვირველია, მე





სურათებზე:
სოფიო (სონია) მგალობლიშვილი-გობიბერიძისა;
თამარ ლევანის ასული გობიბერიძე;
ნინო ლევანის ასული გობიბერიძე.

ლივე ეს. მაგრამ არ იცოდა ქართველმა ერმა და საერთოდ საბჭოთა საზოგადოებრიობამ. იმ კაცს, ვინც მაშინ საბჭოთა კავშირის ერთადერთი ბატონ-პატრონი იყო, მის მიერ მოღალატეებად გამოცხადებული ხალხისაგან „ღვთის წყალობა“ ეჩვენებოდა „ღვთის რისხვად“.

ამ საკითხზე აქ აღარ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველივე ლეგალური, ოფიციალური გზა ჩვენთვის დახშობილი იყო. დაგვრჩა ერთადერთი არალეგალური გზა.

1938 წლის ოქტომბერში მე დავტოვე საფრანგეთი, გამოვიარე დასავლეთ ევროპის, ჩრდილო აფრიკის, არაბეთის ქვეყნები და 1939 წლის მაისის ბოლოს ჩავედი თეირანში. 1 სექტემბერს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ამასთან დაკავშირებით მივიღე ახალი დირექტივები და განკარგულებები პარიზიდან, საიდანაც ორი ამხანაგი მესტუმრა: დათიკო ერქომაიშვილი და ლეო პატარიძე. იმავე წლის დეკემბერში ჩვენ სამივემ დავტოვეთ თეირანი და ჩავედით თურქეთში. პატარიძე იქ დარჩა, სტამბოლში, მე და ერქომაიშვილი წამოვედით საზღვრისაკენ და მოვედით ჩვენი საზღვრის ახლოს მაჰაჰელში, ჩვენს ძმებთან — ქართველ მუსულმანებთან.

1940 წლის ზამთარი გავატარეთ მათთან და 20 აპრილს გადმოვლახეთ ჩვენი საზღვარი — შავშეთის მთები. ეს მთები, მთელი აჭარა და აჭარა-გურიის მთები დიდი თოვლით იყო დაფარული, დიდი გაჭირვება განვიცადეთ, მაგრამ, როგორც იქნა, გადმოვლახეთ ზემო აჭარა, ქობულეთის რაიონის მთიანი ნაწილი და შემოვედით გურიაში. ჩვენ თან გვქონდა პარიზში გამომავალი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველთვიური ჟურნალი „ბრძოლის ხმა“ — 12 ეგზემპლარი. მასში დაბეჭდილი იყო საქართველოს ყოფილი მთავრობის დეკლარაცია — 1940 წლის 4 იანვრის თარიღით, ქართულ და ფრანგულ ენებზე. ამ დეკლარაციაში ჩვენი ყოფილი მთავრობა და პარტიები

ჩვენს შემდეგ ეს ხალხი დააპატიმრონ, ამ ჩვენს ჟურნალს და დირექტივებს საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება წაიკითხავს და თავის დროზე უეჭველად მოიხმარენ-მეთქი. ეს ასეც მოხდა.

მე არაფერი მქონდა საწინააღმდეგო და კიდევაც მსურდა შევხვედროდი ვინმე პასუხისმგებელ პირს — პოლიტიკურად მოაზროვნე მამულიშვილს — კომუნისტს, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემი ნაცნობი თუ საერთოდ ცნობილი კომუნისტებიდან აღარავინ იყო ცოცხალი, მეორეც იმიტომ, რომ ვერავინ გაბედავდა ჩემთან საიდუმლოდ შეხვედრას ბერიების და რაფავების შიშით, ამათ. რომელთაც ძალიან უყვარდათ 30 ვერცხლად დაქირავებული იუდა-პროვოკატორები, ჩემისთანებისათვის კი ჯერ მათრახი და შემდეგ ტყვია ჰქონდათ გამზადებული.

ჩვენ დავყავით საქართველოში 31 დღე და დავბრუნდით უკან თურქეთში. რამოდენიმე კვირაში საფრანგეთიც დაეცა. მაშინვე ჰიტლერის პრესამ გამოაქვეყნა ცნობები ჩვენი მგზავრობისა და „მისიის შესახებ“: ვითომ ჩვენ ინგლის-საფრანგეთის აგენტები ვიყავით და მათთვის ხელი უნდა შეგვეწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადებაში. ეს იყო ჰიტლერის მორიგი ქათინაური სტალინისადმი.

თურქეთში რამოდენიმე თვე დავრჩი; ეს დრო მოვახმარე თურქული ენის, თურქეთის სოციალ-პოლიტიკური წყობილებისა და, საერთოდ, თურქეთის გაცნობასა და შესწავლას პირადი დაკვირვებით თუ თურქულ-ფრანგული წყაროებით. განსაკუთრებით ვეცნობოდი ჩვენი ძმების, თურქეთის მოქალაქე ქართველი მუსულმანების მდგომარეობას.

1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომის ახალი, აქამდის არნახული სისხ-

მეორე მსოფლიო ომი, ისე როგორც პირველი, დაიწყო მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. გერმანია, იტალია და იაპონია ცდილობდნენ სამი დიდი იმპერიის: ინგლისის, რუსეთის და საფრანგეთის დამარცხებას და მათი კოლონიების, და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მათი საკუთარი მიწა-წყლის მითვისებას და მსოფლიო გაბატონებას. მათ, ამ შეტევითი, თავდამსხმელი პოლიტიკის შესაფერისი იდეოლოგიაც გამოიმუშავეს: ფაშიზმი, ნაციონალ-სოციალიზმი, რასიზმი. ისინი კი, რომლებსაც ყველაფერი ჰქონდათ, თუნდაც მოეგოთ, შეტს ვერაფერს შეიძენდნენ, და დამარცხების შემთხვევაში კი ყველაფერს დაჰკარგავდნენ, თავიანთი თავი პაციფისტებად გამოაცხადეს და დემოკრატიის სახელით იცავდნენ თავიანთ იმპერიებს კოლონიური და მცირე ერების ტყავისათვის, მათი მიწა-წყლისა და ქონებისათვის ებრძოდნენ ერთმანეთს უზარმაზარი იმპერიები და აი, ამ ბუმბერაზ ჭიდილში იჭყლიტებოდნენ მცირე ერები. ერთი მეოთხედი მილიონი ქართველი იღებდა მონაწილეობას პირველ მსოფლიო ომში. თითქმის სამჯერ მეტი ქართველი კი — მეორე მსოფლიო ომში. ამდენი სისხლი და ცრემლი დაღვარა ქართველმა ორივე მსოფლიო ომში! კიდევ უფრო დიდი უბედურება დაატყდებოდა მას თავზე გერმანელები და მათი მოკავშირენი საქართველოში რომ შემოვარდნილიყვნენ: გარდა ჩვენს მიწაზე გამართული მძვინვარე ომისა, ეს გზას გაუხსნიდა საქართველოში და არა ნაკლებ მთელ ამიერკავკასიაში საშინელ ძმათა შორის ბრძოლას. ამისათვის საკმაო ასაფეთქებელი მასალა დაგროვდა ჩვენს ქვეყანაში რევოლუციის შემდეგ. ჩვენ არ შეგვეძლო რაიმე გავლენა მოგვეხდინა ომის მსვლელობაზე, მსოფლიოს ბედი ბრძოლის ველზე წყდებოდა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა ვყოფილიყავით ჩვენს მშობელ ერთან ერთად გასაჭირის დროს, ვინაიდან,

გავაკეთე ჩემი მშობელი ერისათვის და არა იმათთვის, ვინც მე სამშობლო წამართვა და უცხოეთში გამაქცია, რომელთა ხელებზე სისხლია მრავალი ათასეული ქართველის: მუშის, გლეხის, ინტელიგენტის, უპარტიო თუ პარტიულის და მათ შორის მრავალი ათასი ქართველი კომუნისტის.

მე სასტიკად დამსაჯეს. ჩემი მოსამართლეების სახელით, რომელნიც მე არც კი მინახავს, გამომიცხადეს 25 წლით პატიმრობა სასტიკი იზოლაციით. მე ვარ ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი, რომელმაც ეს სასჯელი მოვიხადე საბჭოთა კავშირში. უკანასკნელი, რადგან ახლა ასეთი სასჯელი აღარ არსებობს. ვერავინ ვერ წარმოიდგენს, თუ რა გადამხდა მე. მაგრამ რაც იყო, იყო. ჯოჯოხეთია მოსაგონებლად. ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის.

წელიწადზე მეტია, რაც მე საქართველოში დავბრუნდი. ყველამ მიმიღო, ვისაც კი მივმართე ჩემი საქმეების გამო; საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამიბრუნა საქართველოს მოქალაქეობა. მე საშუალება მომეცა ჩემი შრომით ვირჩინო თავი და გავატარო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჩემს საყვარელ სამშობლოში, ჩვენი ერის დღევანდელ თაობასთან ერთად ჭირსა და ლხინში.

ყველა ჩემს თანამემამულეს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და მიღწევებს სწავლასა და შრომაში.

ჩვენი ბალღების სიხარულისათვის,

ქართველი ერის ბედნიერებისათვის,

საქართველოს უკვდავებისათვის!

9. II. 69,
თბილისი.

პუბლიკაციის ჰონორარი გადაირიცხება დემოგრაფიულ ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „თამარ მეფე“ ნორვეგიაში და „თამარ მეფე“ საფრანგეთში

## ანდრე კარბელაშვილი

კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს გმირული ისტორიით, მისი შესანიშნავი ხელმწიფო მოღვაწეებით არაერთი უცხოელი დაინტერესებულა. მათ შორის იყო ცნობილი ნორვეგიელი მწერალი და დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი კნუტ ჰამსუნი (1859-1952).

კნუტ ჰამსუნის მოღვაწეობას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ილიასეულმა „ივერიამ“. 1898 წელს „ივერიამ“ (№ 246) გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ნორვეგიელი მწერლის მიერ უცხოეთის ერთ ჟურნალში დაბეჭდილ პუბლიკაციას შეეხებოდა. კნუტ ჰამსუნი მკითხველებს უამბობდა ნორვეგიის ლიტერატურის განვითარებაზე 1870 წლიდან და აღნიშნავდა ცნობილი მწერლების — ბიერნსტერნე — ბიორნსონის, იბსენის და კილანდის განსაკუთრებულ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

„ნორვეგიის ლიტერატურას — წერდა ჰამსუნი — ე. ზოლას გავლენა ეტყობა, თუმცა ეს მიმართულება ზოლასა და ფლობერზე ადრე წარმოიშვა ნორვეგიაში“.

კნუტ ჰამსუნი თავის პუბლიკაციაში შემდეგ მიმოიხილავს ზოგიერთი გამოჩენილი ნორვეგიელი მწერლის შემოქმედებას, მათ შორის ბიორნსონის თხზულებას და ჰპირდებოდა იბსენის და კილანდის თხზულებების გარჩევას.

მაშ, ასე ქართული პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ცნობილი ნორვეგიელი მწერლის კნუტ ჰამსუნის სახელი.

... და აი, ძალზე საინტერესო ინფორმაცია ნორვეგიელ მწერალზე გაზეთ „ცნობის ფურცლის“ 1904 წლის № 2550-ში. როგორც გაზეთი წერდა, ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგის კნუტ ჰამსუნის საყურადღებო წერილი გამოქვეყნდა ერთ-ერთ უცხოურ ჟურნალში სათაურით — „მოგზაურობა კავკასიაში“.

„როგორც მკითხველს ეხსომება — წერდა გაზეთი — ამ ერთის წლის წინად ჰამსუნმა დასწერა ქართველთა წარსული ცხოვრებიდან საინტერესო ფსიქოლოგიური დრამა. როგორც ამ წერილებიდან სჩანს, მოგზაურობის დროს ავტორს საქართველო გაუცვნია“.

ამ ინფორმაციიდან ჯერ ერთი საინტერესოა ის, რომ კნუტ ჰამსუნი საქართველოში ყოფილა, ხოლო მეორეც — მას პიესა დაუწერია ქართველთა ცხოვრებიდან.

დიახ, მართალი იყო გაზეთი „ცნობის ფურცელი“. სწორედ 1908 წელს დაწერა გამოჩენილმა ნორვეგიელმა მწერალმა და დრამატურგმა პიესა „თამარ მეფე“. გაზეთი „ივერია“ (№ 182) წერდა: „ნორვეგიის ცნობილ მწერალს კნუტ ჰამსუნს დაუწერია დრამა „თამარ მეფე“, რომელიც ნორვეგიის ნაციონალ თეატრს გადაეცა და მომავალ სეზონში წარმოდგენილი იქნება ქ. ქრისტინიაში“.

უპირველესად განმარტებისთვის: ქალაქი ქრისტინია — ეს დღევანდელი ნორვეგიის დედაქალაქი ოსლოა.

კნუტ ჰამსუნის „თამარ მეფის“ შესახებ 1904 წლის 17 იანვარს ძალზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 2381) ფილიპე გოგიჩაიშვილმა, რომელიც შემდგომ ცნობილი ქართველი ეკონომისტი, პროფესორი გახდა და თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი იყო.

როგორც ფილიპე გოგიჩაიშვილი წერს, კნუტ ჰამსუნის პიესა „თამარ მეფე“ გერმანულ ენაზე ითარგმნა და დაიბეჭდა. უცხოეთში „პიესას, — წერდა, ფილიპე გოგიჩაიშვილი, — საქართველოს დიდის მეფის ცხოვრება აქვს საგნად — თამარ დედოფლის პიროვნების დახურათება უდევს სარჩულად და შინაარსად. ეს პიესა ჩვენთვის, ქართველებისათვის ბევრის მხრით არის საინტერესო. ჯერ ერთი — თვითონ ავტორი გამოჩენილი მწერალია ნორვეგიისა. გარდა ამისა ეს, თუ არ ვსცდებით, პირველი მაგალითია რომ ევროპელ მწერალს ჩვენი წარსული ცხოვრების მომენტი ან ისტორიული პირი აელოს სათეატრო ხელოვნების საგნად და სცენისათვის შესამუშავებლად. საინტერესოა გავიგოთ, როგორ შეხედა უცხო მწერალმა ჩვენს ძველ ცხოვრებას, რა მხრით ეჩვენა მას ხელოვნებისათვის საყურადღებოდ დიდებული მეფის პიროვნება, როგორ გამოხატა ამისი ხასიათი, პსიხიური ძლიერება, საზოგადოდ ქართველთა ძველი ზნე-ჩვეულება და თავისებურება.

ნორვეგიული დრამა სამ მოქმედებიანია... პიესის კვანძს შეადგენს თამარისა და მისი ქმრის გიორგის ცოლ-ქმრული განწყობილება ანუ უკეთ მოუწყობლობა, გიორგის, რომელიც არის ხასიათით სასტიკი, სიტყვა-პასუხში მოურიდებელი და ქალებთან თავ-დაუჭერელი, თამარის სიყვარული და თანაგრძნობა დიდი ხანია დაუკარგავს. თუმცა ერთ ჭერ-ქვეშ ცხოვრობენ, მაგრამ თამარი მისგან გულითა და გრძნობით დაშორებულია და ისე ეპყრობა, როგორც უცხოს და აფასებს მხოლოდ, ვითარცა სახელმწიფოსთვის საჭირო და სასარგებლო კაცს, რადგან გიორგი მამაცია, და მტრებთან ბრძოლაში — შესანიშნავი მეომარი. და აი, ეს გარემოება აგდებს გიორგის ფიქრსა და საგონებელში. მას უნდა ისეთი რამ გმირული საქმე მოიმოქმედოს, რომ თამარის სიყვარული დაიბრუნოს და მისი გული დაისაკუთროს“.

ფილიპე გოგიჩაიშვილი ძალზე დაწვრილებით უამბობს მკითხველს პიესის შინაარსს.

„ცნობის ფურცელმა“ 10 დღის შემდეგ, 27 იანვარს კიდევ გამოაქვეყნა ფილიპე გოგიჩაიშვილის შენიშვნები კნუტ ჰამსუნის პიესაზე.

დაიდგა თუ არა ეს პიესა ნორვეგიის ეროვნულ თეატრში?

აი, ინფორმაცია „ცნობის ფურცლიდან“ (1904, № 2398):

„კნუტ ჰამსუნის პიესა „თამარ მეფე“, რომლის შინაარსი და განხილვა უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში, პირველად წარმოადგინეს ქალაქ ქრისტინიის „ეროვნულ თეატრში“. როგორც გაზეთ „ლეიფციგის“ ახალ ამბებში სწერია, პიესა ძლიერ მოსწონებია ხალხს, თუმცა ეს მოწონება ბევრად უფრო იმას მიეწერება, რომ სცენა სამაგალითოდ მოეწყვიათ და დეკორაციები მხატვრული ყოფილა“.

●

თამარ მეფის ცხოვრებით დაინტერესებულან საფრანგეთშიც. 1891 წელს პარიზის ოპერაში განუზრახავთ, დაედგათ ოპერა „თამარი“, რომლის მუსიკა კომპოზიტორს ბურგოლ-დუკუდრელს ეკუთვნოდა.

ოპერის ლიბრეტო, როგორც ქალაქ ნიციიდან ატყობინებდა გაზეთ „ივერიის“ რედაქციას ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ყიფიანი, ასეთი იყო: „ვითომ სპარსეთის შაჰი ნურედინი მოვიდა დიდის ჯარით საქართველოში, დაიპყრო მთელი სამეფო თამარისა და დაიწყო აკლება ქვეყნისა. ჩაგვრა და ელეტა ხალხისა. თამარი იძულებული იყო, რომ არ ჩავარდნოდა ხელში მტერსა, დამალულიყო სადღაც მთებში.

თამარს უყვარდა ხალხი, გული სტკიოდა მისთვის და როცა შეიტყო დაწვრილებით ქვეყნის უბედურება ნურედინის მიზეზით, მოიწადინა რანაირადმე ხალხის განთავისუფლება სპარსეთის შაჰის ხელიდგან.

სახით იყო მშვენიერი და გაიგო, რომ ნურედინისთვისაც უქიათ იმისი სილამაზე და რომ ნურედინს სურს იმისი ნახვა და გაცნობა. ამიტომ გადასწყვიტა მისვლა ნურედინთან და თავისის ხელით მოკვლა ქვეყნის მტრისა. შეუთვალა შაჰს სურვილი მისის ნახვისა და შაჰმაც მისცა ნება, თავისუფლად შეგიძლიან ჩემთან მოსვლაო.

თამარი შეუდგა გზას იმ განზრახვით, რომ უნდა მოეკლა ნურედინი, რომელიც არასოდეს არ ენახა. რა მიუახლოვდა იმის კარავს, ჰგონებდა, რომ შაჰი დახვდებოდა საზარელის სახისა, უგვანო მხეცი, როგორც მგელი ან ფოცხვერი და უზომოდ განკვირვებული შეიქნა, როდესაც თვალწინ წარმოუდგა მშვენიერი ტანად და თვალად ყმაწვილი კაცი, კოხტა ქაბუკი.

თამარს მოეწონა ნურედინი, — ნურედინიც გაგიჟდა „მზეებრ-ელვარე“ თამარის დანახვით...

ოც-და-ხუთის წლის ყმაწვილკაცს და თვრამეტი წლის ახალგაზრდა ქალს. ორსავე მშვენიერებს, სულით და გულით შეუყვარდათ ერთმანეთი. სიყვარული ყოველ-დღე თანდათან უფრო და უფრო იტაცებდა ორივეს.

ამ დროს თამარს უეცრად წარმოუდგა თვალწინ ხალხის დაჩაგრული მდგომარეობა, მთელის საქართველოს უბედურება ამ ერთის კაცის მიზეზით, წარმოუდგა თვალწინ დაქვრივებულ-დაობლებულების ცრემლი და მწუხარება, მოაგონდა თავისი ფიცი, მოაგონდა მიზეზი ნურდინთან მოსვლისა და საიდან მიეცა ღონე ახალგაზრდა ქალის სულსა და მკლავსა — დასცა ხანჯლით ქართველთა სისხლის მსმელი ნურდენი თვის ფერხთა წინაში.

თამარმა გადაიწერა პირჯვარი და სთქვა: „საქართველო განთავისუფლდაო“.

როგორც ნიკოლოზ ყიფიანს მიაჩნდა, გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ ამ წერილში „ივერია, 1891, № 212), ოპერის ეს ლიბრეტო მოკლებული იყო ისტორიულ სიმართლეს, მაგრამ როგორც იგი აღნიშნავდა, ზოგჯერ ეს დასაშვები იყო. მაგალითად მოჰყავდა შილერის ნაწარმოები „ორლეანელი ქალწული“, რომელშიც ჟანა დარკი იღუპებოდა იმის დროს მტრის ტყვიით განგმირული და არა რუანის მოედანზე, ცეცხლში, ინგლისელების ხელით.

მთავარი ის იყო, რომ, როგორც წერილის ავტორი ფიქრობდა, ოპერაში თამარის ხასიათი, სიყვარული თავისი ქვეყნისადმი და ერთგულება ერისადმი სიმართლით წარმოადგენდა.

დაიდგა თუ არა ბურგოლ-დუკუდრელის ოპერა „თამარი“ პარიზის სცენაზე ჩვენთვის ცნობილი არ არის, მაგრამ თვით ფაქტი, რომ ქართველი მეფის სახით საზღვარგარეთ დაინტერესდნენ — ძალზე ნიშანდობლივია.



## ნახეთ ეს სპექტაკლი!

„სტუმარ-მასპინძელი“ პანტომიმის თეატრში

ეს სპექტაკლი ყველამ უნდა ნახოს. ნახოს თუნდაც იმიტომ, რომ იგი არის ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების სრულად ახლებური ხორცშესხმა, პირველი ცდა და, უნდა ითქვას, იღბლიანი ცდა.

ეს ინფორმაცია რეცენზიის ტვირთს არ კისრულობს, მხოლოდ ფაქტის ფიქსირებაა.

22 ოქტომბერს თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა დიდი ვაჟა-ფშაველას უკვდავი ნაწარმოების „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით შექმნილი საინტერესო სპექტაკლი.

სპექტაკლის ჩვენებას წინ უძღოდა თეატრის დამაარსებლისა და მთავარი რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატის ამირან შალიკაშვილის მცირე ინფორმაცია თეატრზე და, კერძოდ, ამ ახალი სპექტაკლის შექმნის იდეის შესახებ.

ა. შალიკაშვილმა აღნიშნა: ფრიად სიმბოლურია ის, რომ თეატრმა თავის ახალ შენობაში პირველ პრემიერად წარმოადგინა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოები. თეატრი და პირადად რეჟისორი დიდი ხნის განმავლობაში ოცნებობდნენ ყველა თეატრისაგან განსხვავებული პროფესიონალიზმით შეხებოდნენ დიდი ვაჟას ნაწარმოებს და არჩევანი ამ ღრმად ფილოსოფიურ და, ასევე შეიძლება ითქვას, საკაცობრიო ნაწარმოებზე შეჩერდა.

თუ როგორ შესძლეს ამ ამოცანის დაძლევა, ეს მაყურებელმა უნდა შეაფასოს.

დაიწყო სპექტაკლი. თეატრის მაყურებელთა დარბაზი ძალიან მცირეა, მაგრამ ეს არ არის საზიანო. იგი შეიძლება ითქვას, რომ თავისებურ ინტიმსაც ქმნის მაყურებელსა და მსახიობებს შორის. ასე იყო „სტუმარ-მასპინძლის“ პრემიერის დროსაც. დარბაზი სავსე იყო. სპექტაკლის ჩვენებისას არაერთხელ გაისმოდა აღტაცების შეძახილები და ტაში.

შეიძლება შემდეგ ამ სპექტაკლზე სხვადასხვა შეფასება გამოითქვას, მაგრამ ერთი ცხადია, რომ იგი ღირს საკამათოდ.

ემოციური თითქმის ყველა სცენაა. სპექტაკლში დაკავებული მსახიობები თითქმის ერთი საათის განმავლობაში არ გადიან სცენიდან, მაგრამ ორგანულია ყოველი პასაჟი, მიზანსცენა. ისეა გააზრებული და გადაწყვეტილი, რომ მაყურებელი არ იღლება და ამაღლებული განწყობილება არ ქრება.

„სტუმარ-მასპინძლის“ სცენური ლიბრეტო, დადგმა და მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ამირან შალიკაშვილს, მხატვარია საქართველოს სახალხო მხატვარი მამია მალაზონია, მთავარ როლებს ასრულებენ: ზვიადაური — ლაშა ონიაანი, ჯოყოლა — პაატა ციქურიშვილი, აღაზა — კირა მებუკე, მუსა — ლევან კურტანიძე, ჯიხვი — გიორგი სოსანაშვილი.

სპექტაკლს, რომელიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო, ეტყობა, დიდი ხნის სიცოცხლე უწერია. ნახეთ პანტომიმის თეატრის „სტუმარ-მასპინძელი“.





სურათებზე: — სცენები სპექტაკლიდან

მურმან ჩაჩუას ფოტოები

# თანამედროვეობის არქივიდან

### „ულლი“

ვერნერ შროტერმა გადაწყვიტა ხელი მოეკიდა მეტად რთული მასალისათვის. შექმნა ინგებორგ ბახმანის ავტობიოგრაფიული რომანის „ულლის“ ეკრანიზაცია. მასში მოთხრობილია მწერალი ქალის ეგზისტენციალური პრობლემის — სიყვარულის შესახებ. მოქმედება, ამ სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობით, აქ თითქმის არ არის. შროტერი მიმართავს მეტაფორებს, განსაკუთრებით ყოვლისმომთანთქმელი ცეცხლისა და სიზმრების მეტაფორებს. ფილმში, ისე როგორც წიგნში, გმირი ქალი იწვება. უცნაური დამთხვევით, მწერალი რომანის ქახრულებიდან ორი წლის შემდეგ ასევე ცეცხლში დაიღუპა.

### „ქალიშვილი სერბიიდან“

ეს არის თქმულება სიყვარულზე და საინტერესო კინოდებიუტი რეჟისორ პეტერ ზერისა. (ზიგფრიდ ლენცის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით). პ. ზერი (დაიბ. 1961 წ.) ძალდაუტანებელი ემოციურობით გვიჩვენებს 17 წლის იუგოსლაველი ქალიშვილის, დობრილას ხულიერი ზრდის პროცესს. გოგონა პასპორტის გარეშე და თითქმის ცარიელი საფულით მიემგზავრება ჰამბურგში, რათა მოძებნოს ახიმი, რომლისგანაც ხანმოკლე „რომანის“ შემდეგ ელის ბავშვს. გზად გერმანიისკენ იგი აწყდება ადამიანთა უნდობლობას, აგრესიულობას. ახიმიც იმედს უცრუებს. დობრილა მისთვის დავიწყებული ფლირტია. ვაჟი ებვობს, რომ ქალი ჩამოიყვანა არა სიყვარულმა, არამედ გერმანიაში ცხოვრების სურვილმა. თუმცა იგი მზადაა დაეხმაროს გოგონას. დობრილასთვის კი მთავარია ახიმი. ვაჟის გულგრილობით თავზარდაცემული შინ ბრუნდება. თავის ფილმში პეტერ ზერი გვიჩვენებს წინააღმდეგობას ორ სხვადასხვა კულტურას შორის და ასევე ორ ადამიანს შორის, რომლებიც, უბრალოდ, არ არიან ერთმანეთისთვის შექმნილნი. რეჟისორმა შეძლო ეჩვენებინა, თუ როგორ იძენს ახალგაზრდა ქალი ძალასა და თავდაჯერებას. ზამთრის ამ მოგზაურობის ბოლო სურათებში დობრილა შესამჩნევად წამოზურცული მუცლით გამოჩნდება ველოსიპედზე დილის ნისლიდან დღის შესახვედრად.

### შეგუებელი მეამბოხე

გდრ, 1968 წელი. ისტორიკოსი დალოვი გამოდის ციხიდან. მან სასჯელი მოიხადა იმისთვის, რომ აკომპანემენტს უწევდა „პროვოკაციულ, ანტისახელმწიფოებრივ“ სიმღერას სტუდენტურ კაბარეში. ლაიპციგში, ბინაში დაბრუნებისას, დალოვი გადაწყვეტს, რომ აღარასოდეს დაუკრავს ფორტეპიანოზე და აღარ გამოჩნდება საზოგადოებაში, რომელიც მასში ზიზღს იწვევს. იგი უარს ამბობს სამუშაოზე, რომელიც ყოფილმა კოლეგებმა გამოუძებნეს. თანამშრომლობას შესთავაზებს უშიშროების სამსახური. სამუშაოს დამოუკიდებლობა წარუმატებლად მთავრდება. დალოვი ვერ ივიწყებს გადატანილ უსამართლობას. ბოლოს და ბოლოს იგი მუშაობას იწყებს ოფიციანტად რესტორანში, ბალტიის ზღვაზე. მისი ერთ-ერთი ყოფილი სტუდენტთაგანი ცდილობს მის „გადაბირებას“ ძველ სამსახურში, ლაიპციგის უნივერსიტეტში. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ დალოვი თანხმდება. მის პირად მოწინააღმდეგესაც მსგავსი ბედი ეწია, სამსახურიდან გაათავისუფლეს იმისთვის, რომ მან არასწორად გააშუქა ვარშავის ხელშეკრულების ჯარების ჩეხოსლოვაკიაში შეყვანის მოვლენები. ეს ფილმი არის ფსიქოდრამა ადამიანისა, რომელიც დიქტატორული რეჟიმის პირობებში მერყეობს წინააღმდეგობასა და შეგუებლობას შორის. რეჟისორმა როლანდ გრეფმა ფილმი გადაიღო სილეზიაში დაბადებული, ამჟამად ბერლინში მცხოვრები და მთელ გერმანიაში ცნობილი მწერლის კრისტოფ ჰაინის რომანის „ტანგო ფორტეპიანოზე“ — მიხედვით.

### „ჰომო ფაბერი“

ამერიკაში მცხოვრებმა 58 წლის რეჟისორმა ფოლკერ შლიონდორფმა ჰენრიხ ბიოლის („კატარინა ბლუმის დაკარგული პატიოსნება“), მარსელ პრუსტის („სვანის სიყვარული“), გიუნტერ გრასის („თუნუქის დოლი“) და არტურ მილერის („კომივოიაჟერის სიკვდილი“) ეკრანიზაციების შემდეგ კვლავ მიმართა მხოფლიო ლიტერატურას. გადაიღო ჩინებული ფილმი მაქს ფრიშის რომანის მიხედვით. შლიონდორფი ფილმს იღებდა რომანის მოქმედების ადგილებში — ნიუ-იორკში, პარიზში, ათენში. დიალოგებს ძირითადად იყენებდა წიგნიდან, რომელიც მან გადაამუშავა მაქს ფრიშთან ერთად. ფილმში მოთხრობილია ცხოვრების გზაჯვარედინზე მდგომ ინჟინერ ვალტერ ფაბერზე. მოვლენები და ადამიანები აიძულებენ ზნიერ, ციზოთი დაავადებულ ფაბერს გაიხსენოს ჰანნა, თავისი ახალგაზრდობის დიდი სიყვარული, რომელიც მან მსხვერპლად შესწირა კარიერას. ამიერიდან ხაფრანგეთში მოგზაურობისას ის ეცნობა ქალიშვილს, სახელად საბეტს. ცივი ფაბერის მიმართ საბეტის ურყევი სიმპატიის წყალობით მათ შორის გაჩნდება ღრმა ურთიერთლტოლვა. „მე აგიხელ თვალებს“ — ამბობს საბეტი, ეხება რა ფაბერის მთელი სიცოცხლის მტკივნეულ წერტილს. ფაბერის გული იწყებს მოლბობას. შემდეგ ის აღმოაჩენს, რომ საბეტი არის ჰანნას ქალიშვილი და, შესაძლებელია, მისი ქალიშვილიც. გოგონა იღუპება გველის კბენისაგან. ამბავი მთავრდება ჰანნასთან უშედეგო შეხვედრის ცდით. გამოუყენებელი შესაძლებლობანი, ურთიერთწყენა, შიში ცხოვრების თავიდან დაწყებისა — ყველაფერი ეს წიგნს ანიჭებს აქტუალობას თანამედროვე მკითხველისათვის. რომანისაგან განსხვავებით შლიონდორფის ფილმი მთავრდება იმედის ხუსტი ნოტით.

მოამზადა შორენა ბიწაძე



ჭინანდლელი
გლეხის
შემოდგომა.

სიმონ
კილაძის
ფოტო.

## გამოიწერეთ გაზეთი

## ლიტერატურული საქართველო

თუ ვინმესთვის ძვირფასია ქართული ლიტერატურის სახელი, მისი წარსული და თანამედროვეობა; ვისაც სურს პირველი გაეცნოს ქართველ მწერალთა ახალ ნაწარმოებებს და კრიტიკოსთა აზრს მათ შესახებ; ვისაც სურს კვლავაც წაიკითხოს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ავ-კარგის შესახებ დაწერილი პირუთვნელი პუბლიცისტური სტრიქონები, იხილოს არა ცალსახა ასახვა ჩვენი სინამდვილისა, გამოიწეროს გაზეთი **„ლიტერატურული საქართველო“**.

გაზეთის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით იმ ავტორებს და გამოჩენილ პიროვნებებს, რომელთაც თქვენ ისურვებთ, ძვირფასო ხელისმომწერებო. გაეცნობით განსხვავებულ, ერთმანეთის საპირისპირო შეხედულებებსაც. „ლიტერატურული საქართველო“ მაქსიმალურად შეეცდება სრულად ასახოს მრავალფეროვანი ქართული ლიტერატურული სინამდვილე; იგი ყურადღებას არ მოაკლებს სახელოვანი ქართული კულტურის და მეცნიერების არც ერთ დარგს. გაზეთი შემოგთავაზებთ უცხოური ლიტერატურის ახალ თარგმანებს; მოგითხრობთ იქაურ სამწერლო სიახლეებზე; მე-20 საუკუნის დიდ მწერლებზე, ხელოვანებზე, მოაზროვნეებზე, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღემდე დაფარულსა და ჩვენთვის აკრძალულ ეპიზოდებზე; თქვენ შესაძლებლობა გექნებათ მიიღოთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია საერთოდ კულტურის სიახლეებზე...

ერთი სიტყვით, თქვენ გელით უაღრესად მრავალფეროვანი თანამშრომლობა გაზეთთან. თანამშრომლობა, რადგან თქვენი სურვილებისა და წინადადებების გათვალისწინებით აიგება სარედაქციო საქმიანობა. ამისათვის კი საჭიროა გამოიწეროთ გაზეთი **„ლიტერატურული საქართველო“**.

გაცნობებთ, რომ გაზეთის ფასი ხელისმომწერთათვის იგივე რჩება (ერთი ცალი 40 კაპ. წლიური ხელმოწერა 20 მან. და 76 კაპ.), საცალო ფასი გაზეთისა იქნება 60 კაპ.


მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა

თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
დათო მაღრაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი ჯოხაძე (პასუხისმგებელი მდივანი)
მამუკა ჩიქოვანი (კომპოზიციის და კრიტიკის განყოფილების რედაქტორი)
ივანე ამირხანაშვილი (კრიტიკის განყოფილების რედაქტორი)
ეკა შარაშიძე-ლიშვილი (პუბლიცისტიკის განყოფილების რედაქტორი)
ჯუმბერ თითმერია (ხელოვნების განყოფილების რედაქტორი)
ანდრო ბედუკაძე (ინფორმაციისა და თარგმანის განყოფილების რედაქტორი)
მურმან ჩაჩუა (ილუსტრაციის განყოფილების რედაქტორი)

მორიგე რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი.





რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილეები — 99-81-89; 98-86-68.
პასუხისმგებელი მდივანი — 99-67-10.
განყოფილებები: პროზისა და პოეზიის — 99-71-68; კრიტიკის, პუბლიცისტიკის, ინფორმაციის — 99-08-65; ხელოვნების 99-72-89.
სულდგმულო — 99-72-89.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდება.



ლიტერატურული საქართველო

„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ხაზოდის პარასკევობით



[illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. [illegible] სტამბა, თბილისი, [illegible]